



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საქმე

სამართლებრივი დასკვნა



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
ივნისი, 2017 წ.
ქ. თბილისი

**მონიტორინგის პროცესში მონაწილეობდა
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი**

*არჩილ კაიკაციშვილი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი;
გიორგი ზოიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი;
რუსლან ალექსიძე, მთავარი იურისტი.*

სამართლის ჯგუფი:

*არჩილ ნადირაძე,
მარიამ ფირცხალაიშვილი,
მარიამ სვიმონიშვილი,
ია გოგნაძე.*

**კვლევაში წარმოდგენილი ინფორმაციის გამოყენება
შესაძლებელია მხოლოდ წყაროს მითითებით.**

☐ ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე კვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.barristers.ge

FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi

<http://www.youtube.com/youngbarristers>

მისამართი: საქართველო, თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის #12

ორგანიზაციის ტელეფონი: 2 953518, 599 291202

ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

გიორგი ზოიძე – 599 291202

ელექტრონული ფოსტა: Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094

დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი

ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი

ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778



შინაარსი¹

შესავალი.....	4
საკითხის სამართლებრივი მხარე	7
სამართალწარმოება სასამართლოებში	18
დასკვნა	23
სარეკომენდაციო წინადადებები	30

¹ კვლევის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.barristers.ge

1. შესავალი

2000-2007 წლებში, საერთაშორისო ბრიტანული ორგანიზაცია Oxfam-ის უშუალო მონაწილეობით და მასთან ერთად, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით, შეიქმნა და ქართულ საფინანსო სისტემაში საქმიანობა დაიწყო „ლაზიკა კაპიტალმა“, რომელიც 2007 წლამდე, მართალია, სხვადასხვა სახეცვლილი სახელწოდებითა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით საქმიანობდა, თუმცა გააჩნდა უცვლელი პროფილი და მიმართულებები (კომპანია 2003-2007 წლებში ფუნქციონირებდა როგორც Oxfam-ს მერ დაფუძნებული მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი, ხოლო 2007 წელს მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის მხრიდან მოხდა შვილობილი კომპანიის - სააქციო საზოგადოება „ლაზიკა კაპიტალის“ დაფუძნება). დღემდე კომპანიის ძირითად მომხმარებელს მცირე და საშუალო შემოსავლიანი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა წარმოადგენს. კომპანია ახორციელებს აგრო და ბიზნეს დაკრედიტებას.

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალი“ დღეს წარმატებით საქმიანობს დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა ძირითად მუნიციპალიტეტში და ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ეფექტური მიკროდაკრედიტების სქემების შეთავაზებით, მცირე მენარმეებისა და ფერმერებისათვის უზრუნველყოფს ფინანსური მომსახურების ფართო არჩევანის ხელმისაწვდომობას და ამ სეგმენტის ინტეგრირებას მცირე და საშუალო ბიზნესის სტანდარტებთან. შესაბამისად, ორგანიზაციამ განახორციელა ბევრი საინტერესო ეკონომიკური და სოციალური პროექტი.

2008 წლის 23 აპრილს Oxfam-ს, მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, მენეჯმენტსა და თანამშრომლებს შორის გაფორმდა „აქციონერთა შეთანხმება“, სადაც ისინი შეთანხმდნენ განსაკუთრებულ პირობებზე და ამ პირობების სავალდებულოდ დაცვის ნაცვლად, ორგანიზაციის თანამშრომლებს მიეცათ უფლება გამოესყიდათ აქციები. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით განისაზღვრა კომპანიის ფუნქციონირება და მიზანი - „კომპანიის მიზანია, დააკმაყოფილოს მცირე ბიზნესი და ფიზიკური პირები უზრუნველყოფილი ან არაუზრუნველყოფილი სესხით საქართველოში, კონკრეტულად, უზრუნველყოს სოციალური ნიშნით დაკრედიტება სიღარიბის დასაძლევად და შესამცირებლად. პირველადი აქციონერები და სამეთვალყურეო საბჭო მიაღწევენ კომპანიის მიერ იმ სასესხო პროდუქტების დიაპაზონის შენარჩუნებას, რომელიც ხელმისაწვდომია კომპანიაში 2007 წლის დეკემბრისთვის, კონკრეტულად, კომპანია უზრუნველყოფს დაფინანსებას და იმ სესხების გაცემას, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური პირების, მცირე ბიზნესის და მცირე მასშტაბის მენარმეებისთვის“.

2008 წლის 23 აპრილის აქციონერთა ხელშეკრულების თანახმად, 1) კომპანია შეასრულებდა და დაიცავდა მისი წესდებით, წარმოდგენილი ხელშეკრულებით და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, 2) კომპანიის საქმიანობა წარიმართებოდა შესაბამისი ბიზნეს გეგმების მიხედვით, საქმიანობის ძირითადი კურსის დაცვით პოლიტიკური თუ სხვა მდგომარეობისგან დამოუკიდებლად, ჯანსაღი ბიზნეს წესების შესაბამისად, რომელიც მოიცავდა ჯანსაღ საფინანსო და ბიზნეს გამოცდილებას, კორპორაციული მმართველობის, ადეკვატური დაზღვევის მექანიზმებით და გამჭვირვალე კანონიერი სტრუქტურის შენარჩუნებით, კანონმდებლობის შესაბამისად და რომ 3) კომპანიის ინტერესები (კომპანიის მიზნების გათვალისწინებით, ისევე როგორც აქციების ღირებულების მაქსიმალიზაცია), დაცულია და უპირატესი. ხელშეკრულებაში დეტალურად განისაზღვრა თანამშრომელთა მიერ აქციების შენარჩუნების პირობები და ვადები, თანამშრომელთა მიერ მიღებული სარგებლის შეზღუდვის პირობები, ხელშეკრულების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმები, ხელშეკრულების ვადები და მისი შეწყვეტის წესი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 წელი.

2008 წლის 23 აპრილის აქციონერთა ხელშეკრულება შემდეგ მხარეებს შორის - „Oxfam“, დიდი ბრიტანეთი, კომპანია, რომელიც ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის შესაბამისად, მისი მინდობილი პირის **ნინო ქარელის** სახით, **პეტრა დინა ტაამსის** სახით, რომელიც წარმოადგენდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, მისი მინდობილი პირის **შორენა დუდუჩავას** სახით, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრ **ვახტანგ დოლიძესა** და კომპანიის გენერალურ დირექტორ **ბესიკ შენგელიას** სახით. კომპანიის გენერალური დირექტორის მხრიდან ხელშეკრულების ხელმოწერად და კომპანიის სხვა თანამშრომლებად, ასევე განისაზღვრნენ: **ე. ც.** (ოპერაციების მენეჯერი), **ვასილ ძნელაძე** (პორტფელის ადმინისტრატორი), **ლევან ქვარცხავა** (ცენტრალური ფილიალის საკრედიტო მენეჯერი), **მაია ფიფია** (მთავარი ბუღალტერი), **ბესიკ თორდია** (სენა-

კის ფილიალის მენეჯერი), **ლაშა ბერიშვილი** (საკრედიტო ოფიცერი), **ლაშა შენგელია** (საკრედიტო ოფიცერი), **არველოდ ბექვაია** (იურისტი), **სოსო ზარქუა** (საკრედიტო ოფიცერი), **კობა კუკავა** (საკრედიტო ოფიცერი), **თორნიკე გრიგოლავა** (საკრედიტო ოფიცერი), **ცოტნე შუშანია** (საკრედიტო ოფიცერი), **სოფიო კოკაია** (საკრედიტო ოფიცერი), **მატილდა ფიფია** (საკრედიტო ოფიცერი), **ლიანა მიქავა** (ბუღალტერ-ოპერატორი), **ნინო ქუჩულორია** (საფინანსო ოფიცერი) და **ელგუჯა სამუშია** (ოფისის მენეჯერი).

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ წარმატებული საქმიანობა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დადგა 2010 წელს, როდესაც საჯაროდ გახდა ცნობილი კომპანიაში ჩადენილი ფინანსური დანაშაულის თაობაზე. კომპანიის მენეჯმენტმა სამართლებრივი მოქმედებები დაიწყო საკრედიტო ოფიცერ სოსო ზარქუასა და მანანა მიქავას მიმართ. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ სოსო ზარქუამ და მანანა მიქავამ შეთანხმებით, ყალბი სესხების გაცემით, 807 471,76 ლარის ოდენობით (დანაშაულის გამოვლენის მომენტისთვის დარჩენილი ბალანსი - ძირი თანხა) ზიანი მიაციენეს კომპანიას, რასაც რეგიონის მოსახლეობაში ვნებათაღელვა და კომპანიის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები მოჰყვა². მოქალაქეებმა 2008–2010 წლებში, „ლაზიკა კაპიტალის“ მიერ გაცემული სესხის ჩამონერა მოითხოვეს³. მათი განცხადებით, „ლაზიკა კაპიტალის“ სესხის ოფიცერმა სოსო ზარქუამ და ბიზნესმენმა მანანა მიქავამ კორუფციული გზებით მათ სახელზე სესხი გამოიტანეს. კომპანიამ თავის არაერთ ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნა, რომ კომპანიამ ყალბი სესხების გაცემის შესახებ 2010 წლის ოქტომბერში შეიტყო, რის შემდეგაც მათ გამოძიებისთვის პროკურატურას მიმართეს. ძიებამ დაადგინა, რომ „ლაზიკა–კაპიტალის“ კრედიტ–ოფიცერი სოსო ზარქუა გაურიდდა მანანა მიქავას და ორგანიზაციიდან სესხებს პირადი სარგებელის მიღების მიზნით, თაღლითურად გასცემდა. კომპანიამ დანაშაულის გამოვლენის პერიოდში მოახდინა საკადრო ცვლილების განხორციელება და კომპანიის ოპერაციების მენეჯერი ე. ც, რომელიც თავისი უფლებამოსილებით წარმოადგენდა კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს და თანამდებობრივად ეკისრებოდა ოფიცრების კონტროლი, გაცემული სესხების შემოწმება, მონიტორინგი, სესხის საკრედიტო პოლიტიკასთან შესაბამისობა, მიზნობრიობის დადგენა, მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, დაინიშნა სტრატეგიული განვითარების მენეჯერად.

იქედან გამომდინარე, რომ კომპანიამ გამოავლინა მნიშვნელოვანი დანაშაული, საჭირო გახდა გადაუდებელი პრევენცია და მატერიალური სიკეთის დაცვისთვის მიმართული ღონისძიებების გატარება. შესაბამისად, 2010 წლის 1 დეკემბერს, ნოტარიული წესით დამოწმდა „აქციონერთა თანხმობის“ დოკუმენტი, სადაც ყველა აქციონერი უპირობოდ იღებდა ვალდებულებას, თუკი დაარღვევდა კომპანიის კორპორატიული ეთიკას, პროცედურულ და საკრედიტო პოლიტიკის ნორმებს, რაც შეიძლება გამოხატულიყო კრედიტების ან კომპანიის კუთვნილი თანხების არამიზნობრივად გაცემაში, ან მითვისებაში, მსესხებელთან უკანონო გარიგებაში შესვლით, კლიენტზე, საკრედიტო პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაციის გაყალბებით, მსესხებლის ფინანსური და სხვა სახის ინფორმაციის შეგნებულად, ტენდენციურად წარმოდგენით, სხვა თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამალვით, სხვა თანამშრომლებთან ერთად კომპანიის საზიანოდ ნებისმიერ უკანონო გარიგებაში შესვლით, აცხადებდა თანხმობას, სრულად და უპირობოდ, კომპანიის სხვა აქციონერების ან/და აქციონერთა კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაეცა და ნომინალურ ფასად დაებრუნებინა საკუთრებაში არსებული აქციების წილი.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ „აქციონერთა თანხმობის“ დოკუმენტში წარმოდგენილი ყველა პრინციპი, პირობები და ვალდებულება, აგრეთვე წარმოადგენდა კომპანიაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისთვის სახელმძღვანელო წესებს, თან ერთვოდა დასაქმებულებთან დადებულ შრომით ხელშეკრულებებს შინაგანანქისა და კორპორატიული ეთიკის კოდექსის დოკუმენტის სახით.

2013 წლის 23 სექტემბრის ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ დირექტორის #128 ბრძანების საფუძველზე, თანამდებობიდან გათავისუფლდა სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ე.ც. მიღებული ბრძანების საფუძველი გახდა: თანამდებობის ბოროტად გამოყენება, კომპანიის მიმართ ჩადენილი ფინანსური დანაშაულის ჩადენა, კომპანიის კორპორატიული ეთიკის, პროცედურული ნორმებისა და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების უხეში დარღვევა. კომპანიის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი მომხდარ ფინანსური დანაშაულის საქმეში ახალაღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოება გახდა. კერძოდ, კომპანიის მენეჯმენტმა საჯარო გახადა ე. ც.-სა და სოსო ზარ-

² <http://geonews.ge/geo/news/story/14644-lazika-kapitalis-Senobastan-kreditorebma>

³ <http://www.info9.ge/samarthali/73931.html?lang=ka-GE>

ქუას, ასევე ე. ც.-სა და სესხის სხვა ოფიცერთა შორის 2008 წლის 26 დეკემბრის, 2009 წლის 1 ოქტომბრის, 2010 წლის 15 თებერვლის, 10 მარტის, 11 ივნისის, 3, 4 და 24 აგვისტოს სამსახურეობრივი ელექტრონული მიმონერის შინაარსი, რაც კომპანიისთვის ტოვებდა გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ფლობდა ინფორმაციას და ასევე, დაკავშირებული იყო კომპანიაში ჩადენილ ფინანსურ დანაშაულთან. ე. ც. დაიკითხა მონმის სახით, კომპანიის ყოფილმა თანამშრომელმა აღიარებითი ხასიათის ჩვენება მისცა გამოძიებას, ხოლო საქართველოს მთავარი პროკურატურა ამ დრომდე ახორციელებს საგამოძიებო მოქმედებებს დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა გამოვლენისა და ფინანსური დანაშაულის სრული შეფასებისთვის. ამასთან, დღემდე მიმდინარეობს დავალიანების იძულებით გადახდევინების პროცესებიც.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამოქალაქო ადვოკატირების პროცესში, წინამდებარე მონიტორინგის ფარგლებში, მიზნად ისახავს კომპანიის მიმართ ჩადენილი ფინანსური დანაშაულის სამართლებრივ ანალიზს, 2010-2017 წლებში, კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენების კვლევას, საქმეზე განხორციელებული მართლმსაჯულებისა და საგამოძიებო მოქმედებების სანდოობის შემოწმებას, საკითხზე დასკვნისა და სარეკომენდაციო წინადადებების წარმოდგენას.

ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებას, საქმიან წრეებსა და კომპანიის საერთაშორისო პარტნიორებს სრული და ობიექტური წარმოდგენა ჰქონდეს კომპანიის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების შელახვის ფაქტებზე, სახელმწიფოს რეაგირებისა და სამართალწარმოების პროცესში შექმნილ ვითარებაზე. მნიშვნელოვანია, კომერციული ინტერესები, ორგანიზაციის საზოგადოებრივი იმიჯი და მომხმარებელთა უფლებები, თანაბრად იქნეს დაცული და სტაბილური, ვინაიდან კომპანიის წინაშე გამოწვევებისა და მათი დაძლევის საშუალებები მოიპოვება სრული, უტყუარი და მომხდარი ფაქტების ობიექტურ განსჯას და საზოგადოების მხარდაჭერით. ამდენად, წინამდებარე სამართლებრივ დასკვნას გააჩნია საქმიანი დოკუმენტის პრეტენზია და წარმოდგენილია საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე დაყრდნობით.

ორგანიზაციამ მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია ფართო საზოგადოების წინაშე თბილისში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების, ჟურნალისტური კორპუსის მონაწილეობით, 2017 წლის 5 ივნისს გამართა. ამასთან, კვლევა მიეწოდათ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. დაიგეგმა საქმეზე მუდმივი მონიტორინგის ღონისძიებები.

2. საკითხის სამართლებრივი მხარე

2011 წლის 2 ივნისის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენის საფუძველზე, დამნაშავეებად იქნენ ცნობილი კომპანიის ყოფილი თანამშრომელი სოსო ზარქუა და მოქალაქე მანანა მიქავა. სასამართლომ დაადგინა, რომ მანანა მიქავამ მის მიერ შექმნილი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან ერთად, კრედიტის მიღების მიზნით, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობა მიაწოდა კომპანიას, მანვე 397 მსესხებლის სახელით, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალიდან“ უკანონოდ გამოიტანა სესხი, რის შედეგადაც მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 807 471,76 ლარი, რასაც თაღლითურად დაეუფლნენ.

საქმის მასალების მიხედვით, კომპანიას ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობა მიაწოდა სოსო ზარქუამაც, რომლის მიზანსაც, საქმის დადგენილი მასალების მიხედვით, წარმოადგენდა კრედიტის მიღება და მანანა მიქავას მიმართ დახმარების განევა. სასამართლომ დაადგინა, რომ სოსო ზარქუამ კომპანიის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ბოროტად გამოიყენა სესხის ოფიცირის სპეციალური უფლებამოსილება და სხვისთვის გამორჩენის მისაღებად დაამზადა ყალბი ოფიციალური დოკუმენტები, რამაც შეადგინა 397 მსესხებლის ყალბი სესხის პაკეტი. სასამართლომ დაადგინა, რომ მანანა მიქავასა და სოსო ზარქუას მიერ ჩადენილი დანაშაულებით, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალს“ დანაშაულის გამოვლენის მომენტისთვის მიაღდა 807 471,76 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. საქმეზე მიღებული გამამტყუნებელი განაჩენი, 2011 წლის 31 აგვისტოს, კანონიერ ძალაში დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ. ბრალდებულები მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების აღკვეთა 8-8 წლის ვადით, თუმცა 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ მიღებული კანონის საფუძველზე, ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ.

კომპანიაში ჩადენილი ფინანსური დანაშაულის გამოვლენა შემდეგი ურთიერთდაკავშირებული მოვლენების შედეგად მოხდა. 2010 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა შემდეგი გარემოება, კერძოდ, ს.ს. „რესპუბლიკა ბანკიდან“, საიდანაც ხორციელდებოდა კომპანიის მსესხებლების მიერ სასესხო თანხების შეტანა-გამოტანა, სასესხო თანხების გაცემისას ბანკის ვიდეო-კამერები მუდმივად აფიქსირებდნენ, რომ მსესხებლების ცალკეულ ჯგუფებთან ურთიერთობაში ჩნდებოდა მოქალაქე, როგორც შემდგომში გაირკვა – ლ. მ, რომელიც მსესხებლებთან ერთად მონაწილეობდა თანხის გადათვლასა და განაწილებაში.

კომპანიამ ოპერაციების მენეჯერ ე. ც.-ს ზ/აღნიშნული ფაქტის დეტალური მოკვლევა დაავალა, ვინაიდან დადგინდა, რომ ბანკის ვიდეო-კამერებში დაფიქსირებული მსესხებელთა ჯგუფი და მოქალაქე ლ. მ. წარმოადგენდნენ სოსო ზარქუას კლიენტებს. აღსანიშნავია, რომ ე. ც.-მ კომპანიის დირექტორის მხრიდან 2008-2009 წლებში სოსო ზარქუას კლიენტების შემოწმების დავალება ორჯერ მიიღო, თუმცა ე. ც.-ს მხრიდან ორჯერვე წარმოდგენილ იქნა დადებითი დასკვნა, მათ შორის იმ სასესხო ვალდებულებებზეც, რომლებიც შემდგომში სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდა, რომ ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე იქნა გაცემული, ყალბი მისამართების მითითებით.

რაც შეეხება 2010 წელს „რესპუბლიკა ბანკის“ ვიდეო-კამერებში დაფიქსირებულ შემთხვევაზე დავალების მოკვლევის შედეგებს, ე. ც.-ს მხრიდან კომპანიის მიმართ სოსო ზარქუას სასარგებლოდ მიწოდებულ იქნა ინფორმაცია და იმუამად ე. ც.-ს მტკიცების საფუძველზე, გამოირიცხა სოსო ზარქუას მხრიდან რაიმე სახით კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, თუმცა კომპანიაში შექმნილი მდგომარეობა, მაინც საწინააღმდეგო სინამდვილეზე მეტყველებდა. სოსო ზარქუას სასესხო პორტფელში, მოგვიანებით, მასიურად დაფიქსირებული ვადაგადაცილებები საფუძველი გახდა კომპანიის დირექტორისთვის, მიეღო ბრძანება, რომლის საფუძველზეც სოსო ზარქუას აეკრძალა სასესხო თანხების გაცემა 2010 წლის ნოემბრის თვიდან. ამავე ბრძანების მიხედვით, უნდა შემოწმებულიყო სოსო ზარქუას 2010 წლის ოქტომბრის თვეში სასესხო ვალდებულებების ვადაგადაცილების საკითხი. კომპანიის მხრიდან გატარებულმა სამართლებრივმა ღონისძიებებმა საჯარო გახდა სოსო ზარქუას ყალბი სესხების გაცემის სქემა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები. კომპანიის დირექტორთან ოპერაციების მენეჯერმა ე. ც.-მ წარმოადგინა სოსო ზარქუას აღიარებითი ჩვენება, რომ ეს უკანასკნელი დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობდა.

სწორედ ზ/აღნიშნული მოვლენების გათვალისწინებით, 2010 წლის 1 დეკემბერს, ნოტარიული წესით დამოწმდა „აქციონერთა თანხმობის“ დოკუმენტი, სადაც ყველა აქციონერი უპირობოდ იღებდა ვალდებულებას, თუკი დაარღვევდა კომპანიის კორპორატიული ეთიკას, პროცედურულ და საკრედიტო პოლიტიკის ნორმებს, რაც შეიძლება გამოხატულიყო კრედიტების ან კომპანიის კუთვნილი თანხების არამიზნობრივად გაცემაში, ან მითვისებაში, მსესხებელთან უკანონო გარიგებაში შესვლით, კლიენტზე, საკრედიტო პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაციის გაყალბებით, მსესხებლის ფინანსური და სხვა სახის ინფორმაციის შეგნებულად, ტენდენციურად წარმოდგენით, სხვა თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამალვით, სხვა თანამშრომლებთან ერთად კომპანიის საზიანოდ ნებისმიერ უკანონო გარიგებაში შესვლით, აცხადებდა თანხმობას, სრულად და უპირობოდ, კომპანიის სხვა აქციონერების ან/და აქციონერთა კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაეცა და ნომინალურ ფასად დაებრუნებინა საკუთრებაში არსებული აქციების წილი. აღნიშნულს ხელი მოაწერა ე.ც.-მაც, რომელიც ნოტარიალურად დამტკიცდა კიდევ 2010 წლის 15 დეკემბერს.⁴

2013 წლის 23 სექტემბრის ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ დირექტორის #128 ბრძანების საფუძველზე, თანამდებობიდან გათავისუფლდა სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ე. ც. მიღებული ბრძანების საფუძველი გახდა: თანამდებობის ბოროტად გამოყენება, კომპანიის მიმართ ჩადენილი ფინანსური დანაშაულის ჩადენა, კომპანიის კორპორატიული ეთიკის, პროცედურული ნორმებისა და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების უხეში დარღვევა. კომპანიის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი მომხდარ ფინანსური დანაშაულის საქმეში ახალაღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოება გახდა. კერძოდ, კომპანიის მენეჯმენტმა საჯარო გახადა ე. ც.-სა და სოსო ზარქუას, ასევე ე. ც.-სა და სესხის სხვა ოფიცერთა შორის 2008 წლის 26 დეკემბრის, 2009 წლის 1 ოქტომბრის, 2010 წლის 15 თებერვლის, 10 მარტის, 11 ივნისის, 3, 4 და 24 აგვისტოს სამსახურეობრივი ელექტრონული მიმოწერის შინაარსი, რაც კომპანიისთვის ტოვებდა გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ფლობდა ინფორმაციას და ასევე, დაკავშირებული შეიძლება ყოფილიყო კომპანიაში ჩადენილ ფინანსურ დანაშაულთან.

საქმეზე სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მხრიდან, გამოძიების პროცესში, მუდმივად ხდებოდა მითითებები იმის შესახებ, რომ კომპანიის წინააღმდეგ დანაშაულის მომზადებაში, ბრალდებულად ცნობილი პირების გარდა, კომპანიის სხვა პირებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამასთან, იმ ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც 2010 და 2013 წელს კომპანიამ გამოავლინა, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მენეჯმენტმა დანაშაულის მომზადებაში ორგანიზებული ჯგუფის მთავარ ხელშემწყობად მიიჩნია კომპანიის ყოფილი ოპერაციების მენეჯერი ე. ც, რომლის სამსახურეობრივ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა სესხების გაცემის ორგანიზაციულ-სამართლებრივ პროცესზე ზედამხედველობა და მათზე კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება.

2011 წლის 13 მაისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოში დაიწყო გამოძიება #092110472 საქმეზე ლ. მ.-ს და სხვათა მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე, 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (1. ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. 2. ნამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად. 3. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. თალღითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. იგივე ქმედება, ჩადენილი დიდი ოდენობით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე).

სწორედ კომპანიის ხელმძღვანელი პირების მოწმის სახით დაკითხვისას, აგრეთვე 2013 წელს გამოვლენილი ე. ც.-სა და სოსო ზარქუას შორის სამსახურეობრივი მიმოწერის შინაარსიდან გამომდინარე, არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ კომპანიის სესხის ოფიცერ სოსო ზარქუასა და კომპანიის ოპერაციების მენეჯერს შორის 2008-2010 წლებში არსებობდა საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმოწერები. დასადგენად იმისა, 2008-2010 წლებში, არსებობდა თუ არა სოსო ზარქუას და ე. ც.-ს შორის საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმოწერები, დაინიშნა კომპიუტერულ-კრი-

⁴ 2010 წლის 1 დეკემბრის ე. ც.-ს „აქციონერთა თანხმობის“ დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება ნოტარიუსს მაია ფუტყარაძის მიერ. სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი: 15.12.2010.

მინალისტიკური ექსპერტიზა, რითაც გამოვლინდა ამ პირების არამართლზომიერი ქმედება სესხების გაცემასთან დაკავშირებით. სოსო ზარქუამ და ე. ც.-მ მოწმის სახით დაკითხვისას განმარტეს, რომ 2008-2010 წლებში, საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმონერები ასევე ქონდათ სს „ლაზიკა კაპიტალის“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებთან: დირექტორ ბ. შ.-თან, მთავარი იურისტი ა.ბ.-სთან, მენეჯერ ლ. ქ.-სთან, ანალიტიკოს ბ. თ.-სთან, ანალიტიკური და საინფორმაციო სისტემის დეპარტამენტის უფროს ვ. ძ.-ესთან. 2008-2010 წლებში, კომპანიის თანამშრომლები სარგებლობდნენ „Google Talk“, სადაც თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ საკუთარი User-ით.

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც ეხება კომპანიის სესხის ოფიცერ სოსო ზარქუასა და კომპანიის იმდროინდელი ოპერაციების მენეჯერს შორის ელექტრონულ მიმონერას, დასაბუთებულია, რომ კომპანიიდან სესხის გაცემა ხდებოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირების მიმართაც. მხარეთა შორის განხორციელებული 2010 წლის 3 აგვისტოს მიმონერის შედეგად, სესხი გაიცა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის მოადგილის მიმართ, თუმცა სესხის მიმღებად შეთანხმებულია სხვა მოქალაქის ვინაობა, რომელიც მომდევნო კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ მუშაობდა საპატრულო პოლიციაში. ამავე პიროვნების მიმართ, მხარეთა შორის 2010 წლის 6 აგვისტოს მიმონერის შედეგად, გაცემულია დამატებითი სესხი. თანხის დაბრუნება კომპანიამ მხოლოდ სასამართლო წესით შეძლო.

2006 წლის 13 ოქტომბრიდან 2010 წლის 23 თებერვლამდე, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის - მესტიის რაიონული პროკურატურის ყოფილი პროკურორის მიმართ გაცემულ იქნა 4 სესხი. აღნიშნულის პარალელურად, 3 სესხი იქნა გაცემული ამავე პროკურორის მეუღლის მიმართ. მხარეთა შორის არსებული ელექტრონული მიმონერის შინაარსიდან გამომდინარე, სოსო ზარქუასა და ე.ც.-ს შეთანხმებების საფუძველზე, სესხი გაიცემოდა სხვადასხვა სამოქალაქო პირებზე, რომლებიც წარმოადგენდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირებთან დაკავშირებულ ადამიანებს და ასევე, ე. ც.-ს ახლო ნათესაებსა და მეგობრებს. აღნიშნული მიმონერებიდან და შემდგომში, კომპანიის უფლებამოსილი თანამდებობის პირთა ჩვენებებითა და ახსნა-განმარტებით ბარათებში ჩანს, რომ კომპანიიდან სესხები თანამდებობის პირებისა თუ მათთან დაკავშირებულ სამოქალაქო პირებზე გაიცემოდა იმ წესებისა და პროცედურების დაცვის გარეშე, რომელიც კომპანიაში აღიარებულ და სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენდა. სესხები გაიცემოდა საკრედიტო კომიტეტზე დამტკიცების გარეშე ან კომიტეტის წევრების მანიპულირებით. ოპერაციების მენეჯერის უშუალო მითითებებით, რამაც კომპანიას, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალი მიაყენა.

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ წარმომადგენლებმა 2013 წლის 22 ნოემბერს წერილობით მიმართეს კომპანიის ოპერაციების მენეჯერს და წარმოდგენილი ელექტრონული მიმონერის ნამდვილობის დადგენის მიზნით, სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება ერთობლივი მონაწილეობით მოითხოვეს. იქედან გამომდინარე, რომ ე. ც. ექვემდებარებდა კომპანიის მხრიდან წარმოდგენილ ელექტრონული მიმონერის ავთენტურობასა და შესაბამისობას, კომპანიის მიზანს წარმოადგენდა ყოველგვარი ეჭვისა და მცდარი არგუმენტების გაბათილებისთვის, სამართლებრივი ექსპერტიზა დანიშნულიყო ერთობლივი ძალისხმევით, თუმცა ე. ც.-მ მიმონერის სამართლებრივ ექსპერტიზაზე კატეგორიული უარი განაცხადა. საკითხზე კომპანიის შუამდგომლობის საფუძველზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურამ დანიშნა კომპიუტერულ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზა.

ამასთან, კომპანიამ კომპიუტერულ-კრიმინალისტიკური და ვიდეო-ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნით ცალკეც მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, რომლის 2014 წლის 7 თებერვლის დასკვნით, პასუხი გაეცა ექსპერტიზის წინაშე დასმულ კითხვებს: იყო თუ არა წარმოდგენილი ინფორმაცია ორიგინალი, როდის იყო განხორციელებული მიმონერა, ჰქონდა თუ არა ადგილი ვინმეს მიერ ფაბრიკაციას, დამონტაჟებას, ტექსტის (სიტყვის, წინადადების, ასოების) ჩამატებას.

ექსპერტიზის დასკვნით დადასტურდა მიმონერის ნამდვილობა და აღნიშნა, რომ მიმონერაზე რაიმე სახის ზემოქმედება, ნაშლა, სიტყვის, წინადადების ჩამატება და საერთოდ გაყალბება არ მომხდარა

და ასეთი მოქმედება საექსპერტო მასალაში შეუძლებელია განხორციელებულიყო⁵. ამასთან, კომპანია 2013 წლის 24 დეკემბრის კიდევ ერთი შუამდგომლობის საფუძველზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის მხრიდან მოითხოვა საგამოძიებო მოქმედების განხორციელება სოსო ზარქუასა და ე. ც.-ს საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერების მომზადების თაობაზე.

კომპანიის მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო, იხდიდა თუ არა ფარული გარიგებების საფუძველზე, ქრთამის სახით სოსო ზარქუა ე. ც.-ს კუთვნილი ავტომობილის განვადების თანხას, ვინაიდან კომპანიის მხრიდან წარმოდგენილ მხარეთა შორის ელექტრონული მიმონერის ნაწილში, მკაფიოდ საუბარია ასეთი ვალდებულებების არსებობის თაობაზე.

მოცემულ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე 2013 წლის 25 დეკემბრის წერილის საფუძველზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურამ უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ „ამ ეტაპზე, ზედამხედველი პროკურორისგან მიღებულია გარკვეული მითითებები, რომელიც უნდა შესრულდეს დროის უმოკლესს ვადაში, ხოლო ამ წერილში აღნიშნული მითითება შესრულდება, მაშინ, როცა ის საქმის სხვა მასალებთან შეჯერებით იქნება მნიშვნელოვანი“.

საქმეზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის უფროსი პროკურორის, მირანდა წერეთლის, შუამდგომლობა კომპანიიდან 2008-2010 წლებში განხორციელებული შიდა ქსელური მიმონერის ამოღების თაობაზე.⁶

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა (გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, ექსპერტიზის დასკვნა, სოსო ზარქუას და ე. ც.-ს დაკითხვის ოქმი), რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს და წარმოდგენილია პროკურორის მიერ, იძლეოდა ამოღების ჩატარების შესაძლებლობას. მითითებული ინფორმაციის მოპოვება პირდაპირ კავშირში იყო სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან და შესაბამისად, შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩენილიყო მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დადგინდა, რომ კომპანიიდან უნდა ამოღებულიყო 2008-2010 წლებში განხორციელებული შიდა ქსელური მიმონერები:

1. სოსო ზარქუას და სს „ლაზიკა კაპიტალის“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის დირექტორ ბ. შ.-ს შორის, სოსო ზარქუას და მთავარ იურისტ ა. ბ.-ს შორის, სოსო ზარქუას და მენეჯერ ლ. ქ.-ს შორის, სოსო ზარქუას და ანალიტიკოს ბ. თ.-ს შორის, სოსო ზარქუასა და ანალიტიკური და საინფორმაციო სისტემების დეპარტამენტის უფროსს ვ. დ.-ს შორის;
2. ე. ც.-ს და სს „ლაზიკა კაპიტალის“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირის, დირექტორ ბ. შ.-ს შორის, ე. ც.-ს და მთავარ იურისტ ა. ბ.-ს შორის, ე. ც.-ს და მენეჯერ ლ. ქ.-ს შორის, ე. ც.-ს და ანალიტიკოს ბ. თ.-ს შორის, ე. ც.-სა და საინფორმაციო სისტემების დეპარტამენტის უფროსს ვ. დ.-ს შორის.

2014 წლის 30 ივნისის სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის მხრიდან კომპანიის ყოფილი ოპერაციების მენეჯერის მიმართ გაგზავნილი წერილით, ცნობილი ხდება პროკურატურის პოზიცია ე. ც.-ს ჩადენილ დანაშაულთან შესაძლო კავშირების მიმართ მომავალი კვლევის საკითხებზე. პროკურატურის წერილში ე. ც.-ს მიმართ აღნიშნულია შემდეგი: „გაცნობებთ, რომ სს „ლაზიკა კაპიტალის“ წარმომადგენლის მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში შემოსული განცხადება, სადაც საუბარი იყო თქვენს მიერ კრედიტების უკანონოდ გაცემის ფაქტზე, დაერთო ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს, თუმცა მოცემულ განცხადებასთან დაკავშირებით, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოპოვებული ინფორმაციების (მტკიცებულებების) სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, ამ ეტაპზე არ არსებობს თქვენს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. ასევე, №092110472 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო არა თქვენს მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე, არამედ სოსო ზარქუას და

⁵ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2014 წლის 7 თებერვლის დასკვნა #000608214;

⁶ 2014 წლის 18 მარტის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება, საქმეზე: 11/ა-273-2014, მოსამართლე: ნ. აკობია.

მანანა მიქავასთან ერთად, დანაშაულის ჩადენის თანამონაწილე პირების მიმართ. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს“.⁷

2014 წლის 8 აგვისტოს, კომპანიამ წერილობით მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა განმარტებები გაკეთებულიყო სასამართლოს მხრიდან 2014 წლის 18 მარტის მიღებული განჩინების საფუძვლების თობაზე.⁸ კომპანიის განცხადებით, გაუგებარი რჩებოდა პროკურატურისა და სასამართლოს პოზიცია, თუ რა სამართლებრივი შეფასება მიეცა პროკურატურის მხრიდან ექსპერტიზის დასკვნას, რაც ადასტურებდა სოსო ზარქუასა და ე. ც.-ს საბანკო შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმონერის ნამდვილობას, ასევე რა სამართლებრივი შეფასება მიეცა მიმონერის შინაარსს, რაც ადასტურებდა ე. ც.-სა და სოსო ზარქუას დანაშაულებრივ განზრახვას და ქმედებებს, რა სამართლებრივი შეფასება მიეცა ე. ც.-სა და სოსო ზარქუას ჩვენებებს. კომპანიის პოზიციით, სრულად გაუგებარი რჩებოდა პროკურატურის მიერ შუამდგომლობის აღძვრის საფუძველი, ვინაიდან მუდმივად, წლების განმავლობაში, როგორც წერილობით, ისე ზეპირად, კომპანია მათ სთავაზობდა თანამშრომლობას, მზადყოფნას გამოთქვამდა ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაციის გადაცემაზე. კომპანიის პოზიციით, ვინაიდან 2014 წლის 30 ივლისის პროკურატურის მიერ ე. ც.-ს მიმართ გაცემული წერილის შინაარსიდან ირკვევოდა, რომ დღემდე აღნიშნული პიროვნება არ წარმოადგენდა მხარეს სისხლის სამართლის საქმეში, თუმცა მისი მოთხოვნის საფუძველზე, ზ/ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალის ასლები მისთვის პროკურატურას ჰქონდა მიწოდებული, აღნიშნული მასალები მტკიცებულების სახით თან ერთვოდა კომპანიასთან წარმოებულ სამოქალაქო საქმეს, ხოლო საგამოძიებო ორგანო კომპანიის მიმართ არ გასცემდა არც ინფორმაციას და არც საქმეში არსებულ მასალებს, მხარეს მნიშვნელოვნად ერღვეოდა საპროცესო თანასწორუფლებიანობა. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან მოთხოვნილ იქნა პროკურორ, მირანდა წერეთლის, შუამდგომლობაზე თანდართული მასალების (მტკიცებულებების) ასლები. როგორც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 13 აგვისტოს წერილშია ნათქვამი, „განჩინებაში აღნიშნულია, რომ პროკურორის მიერ წარმოდგენილი მასალები იძლეოდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების - ამოღების ჩასატარებლად და ამ განჩინებით, არ არის გადაწყვეტილი შუამდგომლობაში მითითებული პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი“.⁹

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალმა“ 2014 წლის იანვრიდან მთავარი პროკურატურის მიმართ წარდგენილი წერილობითი მიმართვების საფუძველზე, არაერთგზის დააყენა საკითხი საქმეზე მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და თავისუფალი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების თაობაზე, მიუთითა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოებული საგამოძიებო მოქმედებების შეუსაბამობებზე და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, მოითხოვდა, როგორც კომპანიის ოპერაციების მენეჯერთან დაკავშირებული მოქმედებების სამართლებრივ შეფასებას, მსესხებლების (თანამონაწილეების) სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრავს, ასევე საქმეზე სამეგრელო ზემო-სავნეთის საოლქო პროკურატურის აცილებას იმ წინამძღვრებითა და გარემოებებით, რომელიც დაკავშირებული გახლდათ საოლქო პროკურატურაში მაღალი თანამდებობის პირებზე გაცემულ სესხებთან უშუალო და პირდაპირი კავშირების გამო. კომპანიის 2014 წლის 23 იანვრის, 2014 წლის 8 აგვისტოს, 2014 წლის 9 სექტემბრის, 2014 წლის 29 სექტემბრის, 2014 წლის 9 ოქტომბრის, 2014 წლის 16 ოქტომბრისა და 2014 წლის 8 დეკემბრის მიმართვები, საჩივრები, შუამდგომლობები სწორედაც ეხებოდა ზ/აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით, საგამოძიებო ორგანოებს განეხორციელებინათ ობიექტური სამართალწარმოება და საქმეზე მიეღოთ შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

კომპანია აღნიშნავდა, რომ გამოძიება წლების მანძილზე მუდმივად აცხადებდა, რომ სავარაუდოდ კიდევ უნდა ყოფილიყო ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ სხვა თანამშრომელი ჩართული დანაშაულში, რაც გამოძიებით არ იყო დადგენილი. კომპანიის მტკიცებით, 2010 წლის ნოემბერში, გამოძიების დასაწყისშივე მიწოდებული შიდა დოკუმენტაციისა და საბუთების საფუძველზე, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ე. ც. თანამდებობრივად და მასზე დაკისრებული ფუნქციებით, პირველ რიგში წარმოადგენდა მთავარ პასუხისმგებელ პირს და შესაძლო ეჭვიმტანილს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კომ-

⁷ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის, ფელიქს ჯალაღონიას 2014 წლის 30 ივნისის #13/23-48128 წერილი ე. ც.-ს მიმართ;

⁸ 2014 წლის 8 აგვისტოს ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მთავარი იურისტის #134 წერილი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ნ. აკობიას მიმართ;

⁹ 2014 წლის 13 აგვისტოს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის, ნინო ჩემინავას #624 წერილი ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მიმართ.

პანია აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გაურკვეველი მიზეზების გამო, გამოძიების ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა კომპანიის მთავარ იურისტზე, გენერალურ დირექტორზე, საკრედიტო მენეჯერზე და რისკების ყოფილ მენეჯერზე, რაც შეეხება ე. ც.-ს, ის მხოლოდ ერთხელ იქნა დაკითხული და მის მიმართ გამოძიებას, არც ერთ ეტაპზე, არანაირი პრეტენზია არ წამოუყენებია.¹⁰

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მიმართ, მოცემულ დრომდე პასუხგაუცემელია კითხვები და სადავო გარემოებებთან არსებული საკითხების კვლევის პერსპექტივა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად მნიშვნელოვან საფუძვლებსა და სამართლებრივ წინაპირობებს წარმოადგენს. აღნიშნული საკითხები ქრონოლოგიურად, თანმიმდევრულად და არსებული მდგომარეობის ფართო ანალიზის საფუძველზე, გადმოიკა და ჩამოყალიბდა კომპანიის 2014 წლის 9 სექტემბრის წერილში, რომელიც მიიღო სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ. კომპანიის მხრიდან პროკურატურის მიმართ საქმეზე გაგზავნილ შემაჯამებელი ხასიათის წერილში დასმულია შემდეგი საკითხები და შემდეგი კითხვები:

1. ვინაიდან ე. ც. აცხადებდა, რომ საბანკო-შიდა ქსელური მიმონერა იყო გაყალბებული, თქვენ დანიშნეთ კომპიუტერულ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, რითაც დადასტურდა მიმონერის ავთენტურობა. გთხოვთ, გვიპასუხოთ, რისთვის დაინიშნა ექსპერტიზა, თუკი დასკვნა არ იყო მტკიცებულება;
2. რა სამართლებრივ შეფასებას აძლევთ საბანკო-შიდა ქსელური მიმონერის შინაარსს, რომელიც ეხება 2010 წლის 24 აგვისტოს ე. ც.-სა და სოსო ზარქუას მიმონერას? არის თუ არა აღნიშნული ფაქტი დანაშაულის დაფარვა, დანაშაულის ხელშეწყობა;
3. რა სამართლებრივ შეფასებას აძლევთ 2010 წლის 3 აგვისტოს საბანკო-შიდა ქსელური მიმონერის შინაარსს? არის თუ არა აღნიშნული ფაქტი „მსესხებელთან უკანონო გარიგებაში შესვლა“ (რას განმარტავს სსკ-ის 208-ე მუხლის) და ყალბი სესხის გაცემა? ნუგზარ მ. თქვენი ხელმძღვანელი იყო და ბადრი ხ.-ც პოლიციის თანამშრომელი, რომელთა მიმართ, არ გსურთ გამოძიების წარმართვა. ლოგიკურია, ნუგზარ მ. პროკურატურაში მუშაობის პერიოდში, არ გამოიძიებდით და არ გამოავლენდით დამნაშავეს (რასაც დღემდე აგრძელებთ), ვინაიდან ობიექტურ გამოძიებასა და მოპოვებულ მტკიცებულებებს „დანაშაულში თანამონაწილის“ დასადგენად, ყოველთვის მიყავდით ე. ც.-სთან;
4. რა სამართლებრივ შეფასებას აძლევთ 2010 წლის 11 ივლისისა და 2009 წლის 1 ოქტომბრის საბანკო-შიდა ქსელური მიმონერის შინაარსს, სადაც საუბარია ა/მანქანის ფულის გადახდაზე? ე. ც. ვერ ჩამოყალიბდა, თუ რა პასუხი უნდა გაცეს ამ ფაქტს და რა მანქანის ფულზეა საუბარი. კომპანიის გენერალურ დირექტორთან შეხვედრის დროს, მან განაცხადა, რომ ეს თანხა იყო ა/მანქანის „გარაჟის“ ფული (იხილეთ ვიდეო-ფონოსკოპური ექსპერტიზის დასკვნა, გვ. 5/16). სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, შესაგებელში მიუთითა, რომ ა/მანქანის გარეცხვის საფასური. ჩვენ ვთვლით, რომ სოსო ზარქუამ გადაიხადა ე. ც.-ს მიერ ა/მანქანის განვადების შესყიდვისათვის გადახდის გრაფიკით გათვალისწინებული მიმდინარე შესატანი. საინტერესოა, თქვენ რომელ ვერსიას ირჩევთ და რის საფუძველზე? ჩვენ ჩვენივე პოზიციის შესასწავლად და დასადგენად, თუ რისი თანხა იყო გადახდილი, მოგმართეთ შუამდგომლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე, საბანკო ამონაწერების ამოღებაზე. თქვენ არ დააკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნა. უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული ფაქტის შესასწავლად, თქვენ თქვენივე ინიციატივით უნდა ჩაგეტარებინათ ამოღება, მაგრამ არ გააკეთეთ. მოვითხოვთ, განგვიმარტოთ და გაგვცეთ კითხვაზე პასუხი, რატომ?
5. ვითხოვთ სამართლებრივ შეფასებას 2010 წლის 10 მარტის საბანკო-შიდა ქსელური მიმონერის შინაარსზე, ცისანა ყ.-ს სახელზე გაცემულ და ე. ც.-ს მიერ გამოყენებულ სესხთან დაკავშირებით (კომპიუტერულ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, გვ. 78;79;80);

¹⁰ ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ 2014 წლის 8 აგვისტოს #133 წერილი სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქის პროკურორ გიზო უბილავას მიმართ;

6. რა სამართლებრივ შეფასებას აძლევთ ლევან ქ.-ს და ხათუნა ნ.-ს ახსნა განმარტებებს, რითაც დასტურდება ე.ც.-ს მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, დოკუმენტებისა და ბიზნეს-ინფორმაციის გაყალბება, უკანონო დავალებების მიცემა, უკანონო სესხის გაცემა და მითვისება;
7. რა სამართლებრივ შეფასებას აძლევთ ნინო შ.-ს ჩვენებას, რითაც დასტურდება სესხის უკანონოდ გაცემა დომენტი ა.-ს მიმართ. თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მითვისება?
8. რა სამართლებრივ შეფასებას აძლევთ ე. ც.-სა და სოსო ზარქუას აღიარებით ჩვენებას (2014 წლის 18 მარტის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება, 1-ლი გვერდი, მე-5 აბზაცი);
9. რატომ არ გვეძლევა საქმეში არსებული მტკიცებულებათა ასლები და რატომ გასცემთ მას ე. ც.-ს მიმართ?
10. 2013 წლის 18 მარტს ზუგდიდის რ-ნ სასამართლოს მიერ თქვენი შუამდგომლობის საფუძველზე მიღებულ იქნა განჩინება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ (საქმე #11/ა-273-2014). განჩინებით გამოძიებას ნება დაერთო სს „ლაზიკა კაპიტალიდან“ ამოღო 2008-2010 წლებში განხორციელებული შიდა-ქსელური მიმონერები, აღნიშნული შუამდგომლობა და განჩინება წინააღმდეგობაში მოდის თქვენს მიერ კომპიუტერულ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნასთან. თუ ექსპერტიზით დადგენილი ფაქტი, საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმონერები, რაც დადასტურდა ექსპერტიზის დასკვნით, არ არის მტკიცებულება ე. ც.-ს მიმართ, მაშინ გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას დაადასტურებდა კომპანიის სხვა თანამშრომლების მიმონერა? მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოქმედება წარმოადგენდა სს „ლაზიკა კაპიტალის“ ხელმძღვანელობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლის წარუმატებელ მცდელობას. აღნიშნულ შუამდგომლობას წინ უსწრებდა ჩვენი მრავალი საჩივარი და მათ შორის შუამდგომლობა თქვენსა და მთლიანად სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის აცილებაზე, წარდგენილი საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2013 წლის 23 იანვარს, რომელიც ქვემდებარეობით გადმოგეცათ 2014 წლის 6 მარტს (წერილი #13/14166);
11. გთხოვთ განგვიმარტოთ, თუ რომელი კანონის, რომელი ნორმით ხელმძღვანელობთ და როგორ ადგენთ, არის თუ არა საკმარისი მოპოვებული მტკიცებულებები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად?
12. დამატებით, რა მტკიცებულებებია საჭირო და რა საგამოძიებო მოქმედებებს ატარებთ ამ ეტაპზე? შეგახსენებთ, რომ საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ჩვენს მიერ და გადაცემული თქვენთვის, თქვენი მხრიდან კი ტარდება საგამოძიებო მოქმედებები მხოლოდ ჩვენს წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამის საფუძველი, გარდა ჩვენი „დაშინების“ მცდელობისა, არ გაქვთ;
13. და ბოლოს, ჩვენ არ ვითხოვთ თქვენგან ე. ც.-ს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას, ვინაიდან აღნიშნული თქვენ არ გსურთ. ჩვენი მოთხოვნაა, მიიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება ე. ც.-ს მიმართ, თუნდაც გამამართლებელი, რომ მოგვეცეს შესაძლებლობა, კანონით დადგენილი შემდგომი რეაგირებისათვის და გასაჩივრებისათვის.¹¹

2014 წლის 20 სექტემბრის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის წერილის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით მკაცრად დადგენილი და განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე არ უნდა დაიწყოს გამოძიება/დევნა ან უნდა შეწყდეს დაწყებული გამოძიება ან/და დევნა. მოცემული დროისათვის სისხლის სამართლის #092110472 საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ იძლევა ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად გამოძიების შეწყვეტის ან დევნის არ დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამავდროულად, მოცემულ ეტაპზე, მიუხედავად ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებისა, არ არის შეკრებილი ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც დააკმაყოფილებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11-13

¹¹ ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მთავარი იურისტის 2014 წლის 9 სექტემბრის #177 წერილი სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის, მირანდა წერეთლის მიმართ;

ნაწილებით დადგენილ თუნდაც ერთ სტანდარტს (დასაბუთებული ვარაუდი, ალბათობის მაღალი ხარისხი, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი), რომელიც აუცილებელი და სავალდებულოა საქმეზე პირის მიმართ დევნის დაწყებისათვის. ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამ და სხვა ნორმების გათვალისწინებით, სწორედ ამ სტანდარტებითა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სხვა ნორმებით ხელმძღვანელობს პროცესის მწარმოებელი ორგანო საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისას და გადაწყვეტილების მიღებისას. რაც შეეხება საქმის მასალების ასლების გადმოცემას, ასეთი უფლებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სარგებლობს მხოლოდ დაცვისა და ბრალდების მხარე, რომელსაც თქვენ არ წარმოადგენთ. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი. შესაბამისად, თქვენი მოთხოვნა სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადმოცემის შესახებ, ვერ დაკმაყოფილდება.¹²

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალმა“ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული მდგომარეობის შესწავლის, რეაგირებისა და საპროცესო თანასწორუფლებიანობის დაცვის საკითხებზე, 2014 წლის 8 დეკემბერს, 2014 წლის 24 დეკემბერსა და 2015 წლის 9 თებერვალს წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტს, კერძოდ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს და გამოძიების გაჭიანურების მიზეზებზე, მიუკერძოებელი საგამოძიებო მოქმედებების ხელშემძლელ გარემოებებსა და კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის მიმართ შექმნილ გამოწვევებზე, ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა.

- **კომპანიის 2014 წლის 8 დეკემბრის წერილში ვკითხულობთ:** „გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე. ე. ც. არის საქართველოს მთავრობაში ყოფილი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირის, ბატონ ალექსანდრე (კახა) ლომაიას ახლო ნათესავი და შესაძლებელია დამნაშავეთა ლობირებასთან გვექონდეს საქმე, რაც ობიექტურად გამოძიების დასაადგენია. ჩვენი ღრმა რწმენით, ზემოთხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე, ჯერ კიდევ 2011 წელს იყო მიღებული გადაწყვეტილება ე. ც.-ს მიმართ სისხლის სამართლის დევნის არ დაწყების შესახებ. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტიც, რომ მაშინდელი ოლქის პროკურორს, ბატონ როლანდ ახალაიას სურდა საქმის „ჩაფარცხვა“ საპროცესო შეთანხმებით 10000 და 40000 ათასი ლარის სანაცვლოდ (გათვალისწინეთ, რომ საქმე ეხება ჯამში, დაახლოებით, 1200 000 ლარს). აღნიშნული საპროცესო შეთანხმება ჩვენი დიდი ძალისხმევით არ დამტკიცდა. მოგეხსენებათ, გადაწყვეტილებას იღებდა ოლქის პროკურორი, ხოლო მის შესრულებას ახორციელებდა მის დაქვემდებარებაში მყოფი პროკურორები და განყოფილების ხელმძღვანელები. დღეის მდგომარეობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურაში შეიცვალა მხოლოდ ბატონი ახალაია, ხოლო „შემსრულებლები“ განაგრძობენ მოღვაწეობას. შესაბამისად, ლოგიკურია, დღეს მყოფმა ზედამხედველმა პროკურორებმა არ მიიღონ მათივე ადრე განხორციელებული ქმედებებისა და გადაწყვეტილებების სანინა-ალმდეგო გადაწყვეტილება, რაც პირდაპირ იქნება მტკიცებულება დღეს თუ 2011 წელს მათ მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღებისა“.
- **კომპანიის 2014 წლის 24 დეკემბრის წერილში ვკითხულობთ:** „ჩვენ წლების მანძილზე ვითხოვთ მსესხებლებისა და ჯგუფის უფროსებისათვის სტატუსის მინიჭებას და შემდგომ დაზარალებული მხარე ვაცხადებთ თანხმობას მათზე გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შეღავათები. სტატუსის მინიჭება არის აუცილებელი იმ უბრალო მიზეზით, რომ სასამართლომ შეძლოს დამნაშავეთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე დაადგინოს დელიქტური ვალდებულება, ხოლო სანამ დანაშაულის დამდგენი და გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგება, შესაბამისად, სასამართლოც არ ადგენს დელიქტურ პასუხისმგებლობას. ასევე, სტატუსის მინიჭება აუცილებელია იმ მოტივით, რომ პირს, რომელიც ჩაიდენს დანაშაულებრივ ქმედებას, არ დარჩეს დაუსჯელი, არ გავრცელდეს მასზე შერჩევითი სამართალი და ნებისმიერი ადამიანი უნდა დარწმუნდეს, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, აუცილებლად დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუნდაც სტატუსის მინიჭების დონეზე. მოცემულ შემთხვევაში, დამნაშავეთათვის დახმარების მიზნით, პროკურატურა არ იღებს გადაწყვეტილებას და ამოფარებულია „კანონიერ უფლებას“, რომ თითქოს მიმდინარეობს გამოძიება და მას არ აქვს შეზღუდვა, თუ როდის

¹² 2014 წლის 20 სექტემბრის სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის, მირანდა წერეთელის #13/23-58609 წერილი ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მთავარი იურისტის მიმართ;

მიიღებს გადაწყვეტილებას. მოგეხსენებათ, ყველა საქმეს გააჩნია ხანდაზმულობის ვადა და პროკურორს, წინასწარი განზრახვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლით შეუძლია გაათავისუფლოს დამნაშავე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს შემთხვევაში, სწორედ პროკურატურა და ინტერესებული დროის გაჭიანურებით გაათავისუფლოს ყველა პირი პასუხისმგებლობისგან და მათ შორის ე. ც, რომელიც არის, ჩვენი აზრით, ამ საქმეში, ყველაზე მთავარი „მოქმედი პირი“.

- **კომპანიის 2015 წლის 2 თებერვლის წერილში ვკითხულობთ:** „მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს არა საქმის გამოუძიებლობასთან, არამედ გამოძიება დასრულებულია და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას თავს არიდებს პროკურორი. საქმეში არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობით, პროკურორი იძულებული იქნება (თუ კეთილსინდისიერი პროკურორია) პასუხისმგებლობაში მიეცეს ის პირი, ვის მიმართაც მიმდინარეობდა გამოძიება. ვინაიდან ჩვენი ვარაუდით, არ სურს პროკურორს (თავისი ინიციატივით თუ ზემდგომის მითითებით) დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, აცხადებს, რომ გამოძიება არ არის დასრულებული, თუმცა რა საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ, ან აქვთ მომავალში ჩასატარებელი, ვერ განმარტავენ. ასევე, არ შეუძლიათ შეწყვიტონ სისხლის სამართლებრივი დევნა და განაცხადონ, რომ პირს არ ჩაუდენია დანაშაული, ვინაიდან მათთვის ცნობილია, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებას ჩვენ გავასაჩივრებთ და მარტივად დავამტკიცებთ პროკურატურის მიერ ჩადენილ კანონდარღვევებს“.

2015 წლის 30 იანვრის საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მხრიდან გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. ტარდება სხვადასხვა ვიქტიმოლოგიური და კრიმინოლოგიური კვლევები. არაერთმა მეცნიერმა მიუძღვნა ნაშრომი ზემოხსენებულ საკითხს. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი საერთაშორისო დონეზეც კი იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის კავშირის საბჭოს მიერ განხილული. მაგალითად, 1985 წლის 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია 40/34, რომელმაც დაზარალებულთა უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპები განსაზღვრა („Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power“). აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო გადაწყვეტილება, რომელიც ანალოგიურ საკითხს ეხება (2001/220/JHA: Council Framework Decision of 15 March 2001 on the standing of victims in criminal proceedings). ერთ-ერთი არგუმენტი იმისა, თუ რატომ ამოირიცხა დაზარალებული ბრალდებულის მხარის სუბიექტთა წრიდან 2009 წლის 9 ოქტომბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, მდგომარეობდა იმაში, რომ აღნიშნული ცვლილებების განხორციელება მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცებას ისახავდა მიზნად. დაზარალებულისთვის ბრალდების მხარის სტატუსისა და შესაბამისი უფლებების ჩამორთმევის ერთ-ერთი არგუმენტი მდგომარეობდა ასევე იმაში, რომ დასავლური ქვეყნების უმრავლესობა დაზარალებულს ბრალდების მხარედ არ განიხილავს. მას პროცესის მონაწილის სტატუსი აქვს მინიჭებული. 2014 წლის 24 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები განხორციელდა, რომელთა საფუძველზე სტატუსის შეუცვლელად დაზარალებულის უფლებები გაიზარდა. „აქვე გაცნობებთ, რომ ამ ეტაპისთვის შექმნილია სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. აღნიშნული საბჭო საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებით გახლავთ დაკომპლექტებული. მოცემული საბჭოს სამუშაო ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, შესაძლოა დაზარალებულის უფლებების გაფართოებისა და ზოგადად, სისხლის სამართლის პროცესში ამ უკანასკნელის სტატუსის განსაზღვრის თაობაზეც გაიმართოს მსჯელობა. რაც შეეხება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობისა და გამოძიების ვადების საკითხს - 2009 წლის 9 ოქტომბრის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიებაც შესაბამისად 2,6,10,15 ან 25 წლის განმავლობაში შესაძლოა მიმდინარეობდეს. აღნიშნული გარემოება დანაშაულის კატეგორიასა და სახეზე გახლავთ დამოკიდებული. ამ შემთხვევაშიც, მართალია, ერთი მხრივ, არსებობს იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა განზრახ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, გააჭიანურონ გამოძიება, თუმცა, მეორე მხრივ, ყოველივე ეს არ შედის საგამოძიებო ორგანოს ინტერესებში, რადგან დანაშაულის გამოუძიებლობის

შემთხვევაში, შესაძლოა შესაბამის პირთა თანამდებობრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, არ იქნება მართებული შესაბამისი საგამოძიებო ორგანო დავავალდებულოთ, რომ კონკრეტულად განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, ყოველ მიზეზ გარეშე დაასრულოს გამოძიება და გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს ბრალი მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას წარედგინება. მსგავსი შინაარსის რეგულაციის შემოღებამ კი შესაძლოა აღნიშნული პრინციპის დარღვევა გამოიწვიოს. აქვე გაცნობებთ, რომ წინამდებარე წერილში გამოთქმული მოსაზრება არ წარმოადგენს კანონის ოფიციალურ განმარტებას და სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნია“ - აღნიშნა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წერილში.¹³

2014 წლის 9 დეკემბერს, კომპანიამ წერილით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას და მოითხოვა საქმიდან დაინტერესებული პროკურორების აცილება, თუმცა საქართველოს მთავარი პროკურატურის 2014 წლის 18 დეკემბრის წერილით, კომპანიას ეცნობა, რომ „საქართველოს სსსკ-ის 63-ე და 93-ე მუხლების შესაბამისად, შუამდგომლობის (მათ შორის აცილების შესახებ) დაყენების უფლება გააჩნდათ მხარებს“.¹⁴

2014 წლის 26 დეკემბერს, კომპანიამ საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის მიერ საქმის გამოძიების არაფექტურად წარმართვის გამო, საქმის მთავარი პროკურატურის მიმართ გადაცემა მოითხოვა.¹⁵ აღნიშნული წერილი/განცხადება/საჩივარი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან 2015 წლის 20 იანვარს, გადაგზავნილ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ.¹⁶ **სწორედ აღნიშნული წერილის და ძალისხმევის შედეგად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქმეზე სამართალწარმოება გაგრძელდეს იუსტიციის სახელმძღვანელო საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სადაც საგამოძიებო მოქმედებები ამჟამადაც მიმდინარეობს.**

ამასთან, 2016 წლის 4 ოქტომბერს, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალმა“ წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის წინაშე არსებული მდგომარეობის, მიმდინარე სისხლის სამართლებრივი საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების თაობაზე, სრული ინფორმაცია მიაწოდა.¹⁷ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2016 წლის 6 ოქტომბრის წერილით, კომპანიის მომართვა გადაგზავნილ იქნა საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ.¹⁸ 2016 წლის 18 ოქტომბრის, საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის აპარატის წერილში აღნიშნა შემდეგი: „გაცნობებთ, რომ ბიზნეს ომბუდსმენის უფლებამოსილება და კომპეტენციის ფარგლები დადგენილია „საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბიზნეს ომბუდსმენი განიხილავს განცხადებას, რომელიც შეეხება პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვევას.“¹⁹ 2016 წლის 3 ნოემბერს, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალმა“ წერილით განმეორებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება კომპანიის წინააღმდეგ განხორციელებულ ორგანიზებულ ფინანსური დანაშაულის ფაქტზე, მაგრამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ჭიანურდება. შესაბამისად, მოთხოვ-

¹³ 2015 წლის 30 იანვრის საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმაღაძის #898/4-10 წერილი ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მთავარი იურისტის მიმართ.

¹⁴ 2014 წლის 18 დეკემბრის შსს რეგიონულ ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორი ნინო ერემაძის წერილი #13/78536

¹⁵ ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მთავარი იურისტის განცხადება/საჩივარი საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართ. რეგისტრაციის #01/21089

¹⁶ 2015 წლის 20 იანვრის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ნათია ჩირიკაშვილის წერილი #349 საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ.

¹⁷ 2016 წლის 4 ოქტომბრის ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ გენერალური დირექტორის წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიძის მიმართ. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის #36582;

¹⁸ 2016 წლის 6 ოქტომბრის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამსახურის უფროსის ლევან ერეკლეშვილის წერილი საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ;

¹⁹ 2016 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებლის, ზურაბ ძნელაშვილის #02/330/10 წერილი ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ გენერალური დირექტორის მიმართ;

ნილ იქნა ობიექტური და დროული გამოძიება.²⁰ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან კომპანიის წერილი, 2016 წლის 7 ოქტომბერს გადაგზავნილ იქნა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ²¹

2017 წლის 18 აპრილს, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, წარმოებული მონიტორინგის ფარგლებში, წერილით მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მოითხოვეს შემდეგი სახის ინფორმაციის მიღება:

1. 2017 წლის 18 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს პროკურატურის რომელი დეპარტამენტი განიხილავს ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საჩივარს/საქმეს, რა ეტაპზეა საქმისწარმოების პროცესი, მოგვანოდეთ ინფორმაცია პროკურორ-გამომძიებლების თაობაზე, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საქმისწარმოების პროცესს?
2. 2017 წლის 18 აპრილის მდგომარეობით, გთხოვთ მოგვანოდოთ ინფორმაცია, რა შინაარსის საგამოძიებო მოქმედებები იქნა განხორციელებული, გამოძიების მხრიდან დაიკითხნენ თუ არა კონკრეტული მოწმეები, მიმდინარეობს თუ არა და რას გულისხმობს საქმეზე ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები?
3. 2017 წლის 18 აპრილის მდგომარეობით, საქმიანობს თუ არა საქართველოს მთავარ პროკურატურაში ან/და მის ტერიტორიულ-რეგიონალურ სტრუქტურებში შემდეგი პირები: ფელიქს ჯალალონია, მირანდა წერეთელი, ნონა თოლორაია, გიზო უზილავა, ნინო ერემაძე, ნათია მეზვრიშვილი, რა სამსახურეობრივი პოზიცია უჭირავთ მათ დღევანდელი მდგომარეობით, რა ფორმით და შემხებლობით იყვნენ დასახელებული პირები ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საქმის განხილვასთან?
4. გთხოვთ, მოგვანოდოთ ინფორმაცია, საქმეზე არსებული მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთმეჯერების შედეგად, შექმნილია თუ არა გონივრული ეჭვის სტანდარტი, მომჩივანი მხარის დაზარალებულად ცნობის თაობაზე ან/და ასეთი გონივრული ეჭვის საფუძვლიანობის გამორიცხვას რომელი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება უქმნის პრობლემას?²²

2017 წლის 5 ივნისის მდგომარეობით, ორგანიზაციის მიერ დასმულ საკითხებზე საქართველოს მთავარი პროკურატურის მხრიდან გამოსხაურება არ მომზადებულა. ორგანიზაციამ პროკურატურასთან კომუნიკაციის შედეგად დაადგინა, რომ წერილის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი პროკურორი ვანო ოქროპირიძეა.

²⁰ 2016 წლის 3 ნოემბრის ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ გენერალური დირექტორის წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიშვილის მიმართ. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის #39530;

²¹ 2016 წლის 7 ნოემბრის საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, სოფიო სიჭინავას #39755 წერილი ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ გენერალური დირექტორის მიმართ;

²² ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2017 წლის 18 აპრილის #105 წერილი საქართველოს მთავარი პროკურორ ირაკლი შოთაძის მიმართ ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე, ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ. წერილის #01/13-35597;

3. საერთო სასამართლოებში წარმოებული საქმე

მას შემდეგ, რაც 2010 წელს გამოვლენილ იქნა ფინანსური დანაშაული, გამოიკვეთა დანაშაულის მომზადებაში მონაწილეთა ვინაობები, სისხლის სამართლის საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, კომპანიას მიადგა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი, დადგა კომპანიაში ცალკეული თანამდებობრივ უფლებამოსილებაში მყოფი პირების სამოქალაქო და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რასაც მოჰყვა საკადრო გადაწყვეტილებებიც. კომპანიამ ოპერაციების მენეჯერი, რომელიც თავისი უფლებამოსილებით წარმოადგენდა კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს და თანამდებობრივად ეკისრებოდა ოფიცრების კონტროლი, გაცემული სესხების შემოწმება, მონიტორინგი, სესხის საკრედიტო პოლიტიკასთან შესაბამისობა, მიზნობრიობის დადგენა, მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და დაინიშნა სტრატეგიული განვითარების მენეჯერად, თუმცა მას შემდეგ, რაც კომპანიის მენეჯმენტმა საჯარო გახადა ე. ც.-სა და სოსო ზარქუას, ასევე ე. ც.-სა და სესხის სხვა ოფიცერთა შორის 2008 წლის 26 დეკემბრის, 2009 წლის 1 ოქტომბრის, 2010 წლის 15 თებერვლის, 10 მარტის, 11 ივნისის, 3, 4 და 24 აგვისტოს სამსახურებრივი ელექტრონული მიმოწერის შინაარსი, რაც კომპანიისთვის ტოვებდა ვარაუდის საფუძველს, რომ ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ფლობდა ინფორმაციას და ასევე, დაკავშირებული იყო კომპანიაში ჩადენილ ფინანსურ დანაშაულთან, 2013 წლის 23 სექტემბრის, მიღებულ იქნა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება.

კომპანიასა და ე. ც.-ს შორის, საქართველოს საერთო სასამართლოებში 2013-2015 წლებში, დავა მიმდინარეობდა რამდენიმე საკითხზე და მიმართულებით:

- **ზიანის ანაზღაურება, აქციისა და დივიდენდის დაბრუნება, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;**
- **სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.**
- **ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ აქციონერთა საერთო კრების 2014 წლის 17 მაისის ოქმის (გადანყვეტილება) გაუქმება ე. ც.-ს წილის გაუნაწილებელ დივიდენდად გამოყოფის ნაწილში;**

1 კომპანიამ სარჩელი აღძრა სულ ოთხი მოპასუხის: ე. ც.-ს, სოსო ზარქუას, მანანა მიქავასა და რ. ა.-ს მიმართ და მოითხოვა ე. ც.-ს, სოსო ზარქუასა და მანანა მიქავას მიმართ კომპანიის სასარგებლოდ, სოლიდარულად 777 421,45 ლარის დაკისრება. ე. ც.-ს მიერ კომპანიაში მისი კუთვნილი 17500 აქციის ნომინალურ ფასად (1 აქცია 1 ლარად), ასევე მის მიერ დივიდენდის სახით მიღებული 45 275,75 ლარის დაბრუნება მოსარჩელისთვის, ე. ც.-სა და რ. ა.-ს შორის ქ. თბილისსა და ქ. ზუგდიდში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის ჩუქების ხელშეკრულებების ბათილობა. კომპანია ასაბუთებდა, რომ ე. ც. და სოსო ზარქუა იყვნენ ორგანიზაციის აქციონერები და ამავე საზოგადოებაში მომუშავე თანამდებობის პირები. სოსო ზარქუა დანაშაულებრივი გზით მესამე პირებზე გასცემდა სესხებს, რითაც რეალურად თავად ითვისებდა ფულს. სესხების გაცემაში ხელს უწყობდა მანანა მიქავა, რის გამოც მიცემულ იქნენ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში და არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენები, ხოლო ე. ც. რომელსაც ევალეზობდა სამსახურებრივი ზედამხედველობა სესხების გაცემაზე, კომპანიის შეფასებით, უწყობდა ხელს დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობას. კომპანიამ აღნიშნულის დასასაბუთებლად წარმოადგინა სოსო ზარქუასა და ე. ც.-ს შორის არსებული ელექტრონული მიმოწერა და ამ მიმოწერის ნამდვილობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა. ამასთან, კომპანიამ აღნიშნა, რომ ჩადენილ ქმედებებზე ქონებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, ე. ც.-მ მის სახელზე რიცხული უძრავი ქონებები, თვალთმაქცური გარიგებების გზით, გადაუფორმა შვილს – რ. ა.-ს. კომპანიამ ე. ც.-ს სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომ მისი შესაძლო დანაშაულის ჩადენის თაობაზე ინფორმაცია და მასალები მიანოდა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურას.

2014 წლის 7 ოქტომბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ²³. სოსო ზარქუასა და მანანა მიქავას კომპანიის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 777421,45 ლარის გადახდა. სარჩელი არ დაკმაყოფილდა ე. ც.-ს მიმართ კუთვნილი 175500 აქციის ნომინალურ ფასად დაბრუნების, დივიდენდების სახით მიღე-

²³ 2014 წლის 7 ოქტომბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. მოსამართლე: ირაკლი აფშილავა.

ბული 45275,75 ლარის დაბრუნებისა და ჩუქების ხელშეკრულებების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში. მიღებული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის განჩინებით²⁴, უცვლელი დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით²⁵, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

2. 2013 წლის 30 ივლისს, მას შემდეგ, რაც კომპანიამ გამოავლინა ფინანსური დანაშაული და ე. ც. გათავისუფლდა გენერალური დირექტორის მოადგილის, ოპერაციების მენეჯერის თანამდებობიდან, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის დაიდო ახალი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც დასაქმებული გახდა ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მენეჯერი. მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო სამი თვის ვადით. შრომითი ხელშეკრულების ორი დანართი სავალდებულოდ შესასრულებელი და სახელმძღვანელო გახდა დასაქმებულისთვის, რომლითაც განისაზღვრებოდა ორგანიზაციის შინაგანანესი და კორპორატიული ეთიკის კოდექსი. შინაგანანესისა და კორპორატიული ეთიკის კოდექსის ნორმები შესასრულებლად სავალდებულო გახლდათ მხარეთა შორის ყველა პერიოდის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების დროსაც.

კომპანიასთან ახალი თანამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად, ე. ც.-ს დაეკისრა ვალდებულება შესრულებინა უფლებამოსილება, რომელიც ორგანიზაციაში წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ რგოლს და მუდმივ წევრს მცირე საკრედიტო კომიტეტის სტრუქტურაში. მენეჯერის უფლებამოსილებას წარმოადგენდა მომსახურების სტანდარტების დანერგვისა და ინდივიდუალური ანგარიშების წარმოდგენა კომპანიის ფილიალებისა და ფრონტ-ოფისის თანამშრომლების სტანდარტებთან მიმართებაში ლოიალურობის დონის შესაფასებლად, კომპანიის გეოგრაფიული გავრცობის მიზნით აქტიური თანამშრომლობის დაგეგმვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ახალი პოტენციური ბაზრების მოძიების პასუხისმგებლობა, ბაზრის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის წარმოდგენა, დონორების მოთხოვნის შესაბამისად, სასესხო თანხების გაცემის დაგეგმვაზე პასუხისმგებლობა და კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში, პიარ-მენეჯერის უფლებამოსილების შესრულება. ამავე შინაგანანესისა და კორპორატიული ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად ჩაითვლებოდა შემდეგი შემთხვევების არსებობა: კრედიტების ან კომპანიის თანხების არამიზნობრივად გაცემა ან მითვისება, მსესხებელთან უკანონო გარიგებაში შესვლა, კლიენტზე საკრედიტო პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაციის გაყალბება, მსესხებლის ფინანსური და სხვა სახის ინფორმაციის შეგნებულად, ტენდენციურად წარმოდგენა, დოკუმენტაციის გაყალბება, სხვა თანამშრომლების მიერ დანაშაულის დამალვა, დასაქმებულის პირადი ინტერესების სასარგებლოდ და კომპანიის ინტერესების საზიანოდ ნებისმიერი ინფორმაციის შეგნებულად დამალვა, სხვა თანამშრომლებთან ერთად კომპანიის საზიანოდ ნებისმიერ უკანონო გარიგებაში შესვლა და დასაქმებულის მიერ ნებისმიერი სხვა უკანონო ქმედების ჩადენა. იგივე პირობები, დეტალურად იქნა აღნიშნული 2010 წლის 10 დეკემბრის „აქციონერთა შეთანხმებაში“, რომელსაც ხელს, აგრეთვე ე. ც. აწერს.

2013 წლის 23 სექტემბერს, მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებიდან მცირე დროში, ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალის“ დირექტორის მხრიდან მიღებულ იქნა ბრძანება კომპანიის სტრატეგიული განვითარების მენეჯერის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე²⁶. ბრძანების საფუძველი გახდა თანამდებობის ბოროტად გამოყენება, კომპანიის მიმართ ჩადენილი ფინანსური დანაშაულის დამალვა, კომპანიის კორპორატიული ეთიკის, პროცედურული ნორმების და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების უხეში დარღვევა. ე. ც. არ დაეთანხმა გათავისუფლების გადაწყვეტილებას, მიიჩნია უსაფუძვლოდ და კომპანიასთან დავა გააგრძელა სასამართლო წესით. სარჩელით მოთხოვნილ იქნა სადავო ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი მოცდენისთვის ფულადი თანხა ორი თვის ხელფასის - 5000 ლარის ოდენობით. კომპანიამ სარჩელი არ სცნო და თანამშრომლის ბრალეული ქმედების დასადასტურებლად, აგრეთვე წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა.

²⁴ 2015 წლის 20 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: 2/ბ-1129, პალატის შემადგენლობა: თამარ სვანიძე, დურმიშხან ჟორჟოლიანი, სიმონ ჩხაიძე.

²⁵ 2015 წლის 23 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე: #ას-521-494-2015, პალატის შემადგენლობა: ბესარიონ ალავიძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ნინო ბაქაქური.

²⁶ ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალის“ დირექტორის 2013 წლის 23 სექტემბრის #128 ბრძანება ე. ც.-ს თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

2014 წლის 4 მარტის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ე. ც.-ს სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა²⁷. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ კომპანიას სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული ჰქონდა ზოგადი ხასიათის დარღვევები და მითითებული არ ჰქონდა, კონკრეტულად, თუ რაში გამოიხატა დასაქმებულის მხრიდან თითოეული მათგანის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპანია სადავო ბრძანებაში წარდგენილ გარემოებებზე ვერ საუბრობდა უტყუარი მტკიცებულებებით და გათავისუფლების საფუძვლებზე მითითებები ხდებოდა ზეპირი განმარტებების ფორმით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ გაიზიარებდა კომპანიის მიერ საქმის გარემოებებისთვის წარდგენილ ექსპერტიზის დასკვნას, რადგანაც აღნიშნული დასკვნით არ დასტურდებოდა თანამშრომლის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ფაქტი. სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქმის მონაწილე მხარეები გამოთქვამდნენ ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებს. თუ ერთი ამტკიცებდა სამსახურეობრივი ვალდებულების შრომის შინაგანანგის მიხედვით შეუსრულებლობას, მეორე მხარე მას უარყოფდა. მათი განმარტებები გამორიცხავდნენ ერთმანეთის არგუმენტებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ორივე მხარის განმარტება თანაბარი მნიშვნელობის მტკიცებულებად უნდა შეფასებულიყო და საბოლოოდ, გაზიარებულ ყოფილიყო იმ მხარის განმარტება, ვინც მტკიცებულებით დაასაბუთებდა თავის არგუმენტს. სასამართლომ ჩათვალა, რომ პროცედურული ნორმებისა და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების უხეში დარღვევის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა კომპანიას, რაც შესაბამისი საფუძვლებით, ვერ იქნა წარმოდგენილი ან/და გაზიარებული. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება, კომპანიამ კანონის მოთხოვნათა დაცვით გაასაჩივრა.

2014 წლის 3 ივნისის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 მარტის გადაწყვეტილება ე. ც.-ს სამუშაოზე აღდგენის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. კერძოდ, არ დაკმაყოფილდა ე. ც.-ს სარჩელი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად²⁸. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დასაქმებული და დამსაქმებელი ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ 2013 წლის 1 ნოემბრამდე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიღებული გადაწყვეტილების პერიოდისთვის, უდავო ფაქტს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ გასული იყო ვადა (2013 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი), რა პერიოდითაც ე. ც. დანიშნულ იქნა ორგანიზაციაში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დარღვეული უფლება ე. ც.-ს უნდა აღდგენოდა განაცდურის ანაზღაურებით (რაც მიეცა კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით), ხოლო სამუშაოზე აღდგენის ნაწილში გადაწყვეტილება, როგორც კანონშეუსაბამო, უნდა გაუქმებულიყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსი, საქმის მასალებით დაუდასტურებლად მიიჩნია კომპანიის თანამშრომლის მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენების, კომპანიის მიმართ ჩადენილი ფინანსური დანაშაულის დამალვის, კომპანიის კორპორატიული ეთიკის, პროცედურული ნორმებისა და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების უხეში დარღვევის ფაქტების არსებობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატამ საქმეს არ დაურთო კომპანიის მიერ წარდგენილი მტკიცებულება - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 20 მარტის ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, როგორც დაგვიანებით წარმოდგენილი. საქმეზე შემაჯემბელი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომლის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი²⁹.

3. ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალსა“ და ე. ც.-ს შორის კიდევ ერთი დავა უკავშირდება კომპანიის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების ნაწილის გაუქმების მოთხოვნას.

2014 წლის 17 მაისს, მონვეულ იქნა ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ აქციონერთა რიგგარეშე კრება. დღის წესრიგით სხვა საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა კომპანიის აქციების 9%-იანი წილის მფლობელ ე. ც.-ს მიმართ დივიდენდის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხი. აქციონერთა რიგგარეშე კრებამ

²⁷ 2014 წლის 4 მარტის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/627-13. მოსამართლე: ლაურა მიქავა.

²⁸ 2014 წლის 3 ივნისის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/ბ-380, მოსამართლე: თამარ სვანიძე.

²⁹ 2015 წლის 16 აპრილის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, საქმეზე: ას-922-884-2014

მიიღო გადაწყვეტილება გასანაწილებელ დივიდენდში ე. ც.-ს პროცენტული წილის 20382,94 ლარის გაუნაწილებელ დივიდენდად გამოყოფის თაობაზე და აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო კომპანიის მიერ აქციონერის მიმართ საერთო სასამართლოებში წარმოებული საქმეები. კომპანიის განმარტებით, ე. ც.-ს მიერ კომპანიის მიმართ სახეზე იყო საზიანო მოქმედებები, კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებზე მიმდინარეობდა სასამართლო სხდომები და მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოება, რომ ე. ც.-ს დავის წარმოშობისთანავე გასხვისებული ჰქონდა მის საკუთრებაში არსებული ქონება. კომპანიის აზრით, ე. ც. ასეთი მოქმედებებით ცდილობდა მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, თუკი სასამართლოები კომპანიის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ. კომპანია აღნიშნავდა, რომ თუკი სასამართლოები ორგანიზაციის სასარგებლო გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ, ამ შემთხვევაში, კომპანიისთვის შეუძლებელი გახდებოდა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება. შესაბამისად, აქციონერთა რიგგარეშე კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ჩათვლილიყო ლოგიკურად და სამართლიანად. აღსანიშნავია, რომ აქციონერთა რიგგარეშე კრებაზე ე. ც.-ს პოზიციები წარმოადგინა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა და გადაწყვეტილება არ მიღებულა მხარის მონაწილეობის გარეშე.

2014 წლის 14 ნოემბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ე. ც.-ს სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი კომპანიის აქციონერთა საერთო კრების 2014 წლის 17 მაისის ოქმი (გადაწყვეტილება) ე. ც.-ს წილის გაუნაწილებელ დივიდენდად გამოყოფის ნაწილში³⁰. კომპანიამ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

2015 წლის 17 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, უცვლელი დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება და არ დაკმაყოფილდა კომპანიის სააპელაციო საჩივარი³¹. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა კომპანიის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები, მათ შორის გარემოება, როდესაც ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს წარმოებაში გააჩნდა საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. ამასთან, პალატამ არ გაიზიარა კომპანიის არგუმენტი, რომელიც ეხებოდა მითითებას იმის შესახებ, რომ ე. ც.-ს უარი კი არ ეთქვა დივიდენდის გაცემაზე, არამედ „გადაუვადდა“ სამართალწარმოების სხვა საკითხების გადაწყვეტამდე. როგორც ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნეს, რომ ე. ც.-ს კუთვნილი თანხის (ბრუნვა უნარიანი ობიექტის - ფულის) გაუნაწილებელ დივიდენდად გამოყოფა სათანადო დასაბუთების გარეშე იქნებოდა მხარისთვის ზიანის მომტანი და არ შეესაბამებოდა მართლზომიერებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. საქმეზე სააპელაციო პალატამ დამატებით განმარტა, რომ აქციონერთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მოთხოვნას, წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო გარიგებას და უნდა გაუქმებულიყო.

ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ მხრიდან სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულებულად ჩაითვალა, რასაც არ დაეთანხმა ე. ც. კომპანიის განმარტებით, აქციონერთა კრებამ იმსჯელა ე. ც.-ს მიმართ დივიდენდის ოდენობაზე და გამოყოფის თაობაზე. ორგანიზაციის პოზიციით, არსებული წესების თანახმად, კომპანიაში ყოველწლიურად წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში იმართება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა საკითხები. კომპანიის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი უნდა განეხილა მომავალ კრებას, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა დივიდენდების გაცემის საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაზე. კომპანიის პოზიციით, ე. ც.-ს წინაშე არსებული სადავო საკითხიც - დივიდენდის მიღება, უნდა მომხდარიყო აქციონერთა კრებაზე, სადაც წარმოდგენილი იქნებოდნენ, აგრეთვე სხვა აქციონერები და არა მხოლოდ ცალკე აღებული სუბიექტი - ს.ს. „ლაზიკა კაპიტალი“. სწორედ ამ მოსაზრებებით, კომპანიას ე. ც.-ს მიმართ, სასამართლოების გადაწყვეტილების მიუხედავად, დივიდენდი არ გაუცია, რასაც ე. ც. არ დაეთანხმა და სასამართლოებს მიღებული გადაწყვეტილებების განმარტების განცხადებით მიმართა.

2015 წლის 25 დეკემბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინების საფუძველზე, განიმარტა, რომ ე. ც.-ს სარჩელის დაკმაყოფილება და აქციონერთა საერთო კრების ოქმის (გადაწყვეტილების)

³⁰ 2014 წლის 14 ნოემბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე: #2/294-14, მოსამართლე: ირაკლი აბშილავა.

³¹ 2015 წლის 17 მარტის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: 2/ბ-1273-2014. პალატის შემადგენლობა: სიმონ ჩხაიძე, თამარ სვანიძე, დიმიტრი გვრიტიშვილი.

ბათილად ცნობა აუცილებლად გულისხმობდა კომპანიის მხრიდან მომჩივანის მიმართ დივიდენდის კუთვნილი წილის (გაუნაწილებელი დივიდენდის) გაცემის ვალდებულებას, რადგანაც კრების ოქმის ბათილობის თანმდევი პროცესი უნდა ყოფილიყო მოსარჩელისთვის კუთვნილი დივიდენდის გაცემა და სხვანაირად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ აღსრულდებოდა³². კომპანიამ მიიჩნია, რომ სასამართლოს განჩინებით განმარტება არსებითად ცვლიდა ამავე სასამართლოს მიერ წარსულში მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარს და სცდებოდა ე. ც.-ს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. შესაბამისად, 2015 წლის 25 დეკემბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. კომპანია ასაბუთებდა, რომ სასამართლო ჩაერთა აქციონერთა კრების ფუნქციებში და აღსრულების პროცესი უნდა მომხდარიყო ორგანიზაციაში აქციონერთა მორიგ კრებაზე, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის განჩინებით³³, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინება.

³² 2015 წლის 25 დეკემბრის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების განმარტების შესახებ, საქმეზე: #2/294-14, მოსამართლე: ირაკლი აბშილავა.

³³ 2016 წლის 4 თებერვლის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, საქმეზე: 2/ბ-27-16. პალატის შემადგენლობა: დურმიშხან ჟორჟოლიანი, დიმიტრი გვრიტიშვილი, თამარ სვანიძე.

4. დასკვნა

„ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე, ორგანიზაცია გაეცნო საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს, სასამართლოების მხრიდან სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, კომპანიისა და სამართალწარმოების პროცესში აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლოს ხელისუფლების კომპეტენტური პირების მხრიდან მომზადებულ გამოხმაურებებს, შეაფასა კომპანიის საპროცესო თანასწორუფლებიანობის, პროცესის საჯაროობის, საქმესთან დაკავშირებული მხარის იურიდიული პრეტენზიების ფარგლები, კომერციული საქმიანობისა და ბიზნესის ინტერესების შესაბამისად, პარტნიორთა კეთილსინდისიერებისა და დელიქტური ურთიერთობებიდან წარმოშობილი ზიანი, მიდის დასკვნამდე, რომ კომპანია „ლაზიკა კაპიტალის“ საქმეზე გაჭიანურებული საგამოძიებო მოქმედებები არ პასუხობს სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესს საქმიანობის მიმართ სათანადო დამოკიდებულების სტანდარტს, ადგილი აქვს შერჩევითი სამართალწარმოების ნიშნებს, საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, საქმისადმი პირადი დაინტერესების მაღალი ალბათობის გამო, იკვეთება დანაშაულის ერთობლიობაში მონაწილეთა სავარაუდო მფარველობა, რაც არ პასუხობს მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და კანონიერების პრინციპებს.

ორგანიზაცია ყურადღებას მიაქცევს სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიებისთვის იმ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლის მიუღებლობაც მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს საგამოძიებო მოქმედებების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ორგანიზაცია, ამასთან, აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვეციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია უდანაშაულობის პრეზუმცია. *„ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშაულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს“.*

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაცია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასების ნაწილში, უპირობოდ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმციით დაცული უფლების პატივისცემას. იმავდროულად, საქმის მასალების შესწავლისა და შეფასების თვალსაზრისით, ყურადღებას დაუთმობს იმ მოვლენების სამართლებრივ შეფასებას, რომელზედაც მითითებები და დასკვნები არ ლახავს პირის უდანაშაულობის პრეზუმციას, არ წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით აკრძალული ცილისწამების დაშვებას, ვინაიდან კომპანიის მიმართ საზოგადოებაში არსებობს ღირსი ინტერესი. კომპანია საჯარო პირია და წარმოებულ საქმეზე საჯარო დისკუსია ემსახურება საზოგადოების დაცულობის, მომხმარებლებთან ანგარიშვალდებულების საკითხებს და იგი მნიშვნელოვანი წვლილის შემტანია დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრებაში. საზოგადოების ინტერესის საგნის შემთხვევაში, საჯარო დისკუსიისას არსებობს გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტიც. საზოგადოება უფლებამოსილია მიიღოს სხვადასხვა ინსტრუმენტით ინფორმაცია დაუბრკოლებლად, საზოგადოების ყურადღების დაკმაყოფილება კი მოითხოვს, რომ მსგავსი დისკუსია არ უნდა იქნეს აკრძალული, დათრგუნული სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოს გზით, რადგან დემოკრატიის საყრდენი ღერძი არის სწორედ საჯარო დებატები და საჯარო დისკუსია, ამ პროცესში საზოგადოების ჩართულობა და მისი ინფორმირება. ამდენად, კომპანიის წინაშე ჩადენილი ფინანსური დანაშაულის საქმე სწორედ ამ სტანდარტების, პრინციპებისა და ღირებულებების ერთობლიობით უნდა იქნეს განხილული და საზოგადოებას საშუალება მიეცეს წარდგენილი ფაქტებისა და გარემოებების შეფასების საფუძველზე, გაჩნდეს საკუთარი ალქმები და წარმოდგენა განსახილველ საკითხებზე.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს კომპანიის მხრიდან სისხლის სამართლის საქმეზე, საგამოძიებო მოქმედებებისთვის წარდგენილ შიდა ელექტრონული კომუნიკაციის დოკუმენტს და საჭიროდ მიიჩნევს გამოძიებამ სათანადო ყურადღება დაუთმოს მტკიცებულების ყოველმხრივ და ობიექტურ კვლევას ფინანსური დანაშაულის ჩადენაში სხვა პირთა დადგენის და გამოვლენის მიმართულებით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის ავთენტურობა დადგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის თებერვალში მომზადებული დასკვნით, თუმცა კითხვებს აჩენს, თუ რატომ არ იზიარებს საგამოძიებო ორგანო საქმეში არსებული წინამდებარე დოკუმენტის შინაარსს, მიმონერაში წარმოდგენილი მხარეების ურთიერთკავშირსა და ერთმანეთის მიმართ გამოთქმულ ვალდებულებებს.

აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად ხელშესახებია, როდესაც სახეზეა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის განჩინება კომპანიიდან 2008-2010 წლებში განხორციე-

ლებული შიდა ქსელური მიმონერების ამოღების შესახებ. სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია შემდეგი: „სს „ლაზიკა კაპიტალის“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირების მოწმის სახით დაკითხვისას და სხვა მასალათა ერთობლიობით არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ სს „ლაზიკა კაპიტალის“ სესხის ოფიცერს სოსო ზარქუას და სს „ლაზიკა კაპიტალის“ ოპერაციების მენეჯერს შორის 2008-2010 წლებში არსებობდა საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმონერები. დასადგენად იმისა 2008-2010 წლებში არსებობდა თუ არა სოსო ზარქუას და ე. ც.-ს შორის საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმონერები დაინიშნა კომპიუტერული კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, რითაც გამოვლინდა ამ პირების არამართლზომიერი ქმედება სესხების გაცემასთან დაკავშირებით. სოსო ზარქუამ და ე.ც.-მ მოწმის სახით დაკითხვისას განმარტეს, რომ 2008-2010 წლებში საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმონერები, ასევე ქონდათ სს „ლაზიკა კაპიტალის“ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელმძღვანელ პირებთან: დირექტორ ბ. შ.-სთან, მთავარ იურისტ ა. ბ.-სთან, მენეჯერ ლ. ქ.-სთან, ანალიტიკოს ბ. თ.-სთან, ანალიტიკური და საინფორმაციო სისტემის დეპარტამენტის უფროს ვ. დ.-სთან“.

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს 2014 წლის 18 მარტის სასამართლოს განჩინების სამართლებრივ საფუძვლებს, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ ხელმძღვანელი პირების მოწმის სახით დაკითხვისას და სხვა მასალათა ერთობლიობით არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ კომპანიის სესხის ოფიცერ სოსო ზარქუასა და ოპერაციების მენეჯერს შორის 2008-2010 წლებში არსებობდა საბანკო-შიდა ქსელური დანაშაულებრივი მიმონერები, ხოლო სოსო ზარქუამ და ე. ც.-მ მოწმის სახით დაკითხვისას განმარტეს და დაადასტურეს ასეთი მიმონერის ნამდვილობა. სწორედ აღნიშნული აღიარებითი ჩვენებები გახდა პროკურატურის მხრიდან სასამართლოში ახალი შუამდგომლობის წარდგენის მიზეზი, დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მოტივაცია, რასაც სასამართლოც დაეთანხმა მიღებული 2014 წლის 18 მარტის განჩინების სახით. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ეს განჩინება პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებაა საქმეზე ობიექტური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისთვის, დანაშაულის მომზადებაში ჩართული დამატებითი პირების გამოვლენისთვის, რომლითაც საქართველოს მთავარი პროკურატურა უნდა ხელმძღვანელობდეს. მიუხედავად ამისა, 2015 წლის 30 იანვრიდან დღემდე, რაც საქმეს საქართველოს მთავარი პროკურატურა განიხილავს, ბრალდების მხარეს არ აქვს არანაირი რეალური საქმიანი შედეგის მომტანი საგამოძიებო მოქმედება ჩატარებული. მეტიც, კომპანია 2014 წლის ივლისიდან დღემდე, უშედეგოდ ითხოვს, პროკურატურამ სასამართლოდან გამოითხოვოს და საქმეს დაურთოს ის მტკიცებულებები და მასალები, რომელიც დაადგენს, ნამდვილად არსებობს თუ არა სოსო ზარქუასა და ე. ც.-ს დაკითხვის (გამოკითხვის) ოქმები, სადაც ჩადენილი დანაშაულის შესახებ აღიარებას აქვს ადგილი. ორგანიზაცია შენიშნავს, რომ აღნიშნული პროცესუალური მოქმედების განხორციელება უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დადგინდება: 1. თუკი დაკითხვის (გამოკითხვის) ოქმში კომპანიის ყოფილი თანამშრომელი, ე. ც. დანაშაულებრივ მოქმედებებში მონაწილეობას აღიარებს, ასეთი აღიარება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, 2. თუკი დაკითხვის (გამოკითხვის) ოქმი წარდგენილია, თუმცა არ ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, აღნიშნული პირდაპირ დააყენებს საგამოძიებო უწყების პასუხისმგებლობის საკითხს და მიუთითებს პროცესის მიკერძოებულობაზე, 3. თუკი დაკითხვის (გამოკითხვის) ასეთი შინაარსის ოქმი არ არსებობს ან/და არც წარდგენილია, საკითხი დგება სასამართლოს პასუხისმგებლობის შესახებ, თუ რა საფუძვლებზე დაყრდნობით მიიღო 2014 წლის 18 მარტის განჩინება და ბუნებრივად დაისმის საკითხი, მიიღო თუ არა სასამართლომ განჩინება ე. ც.-ს დახმარების მიზნით, ვინაიდან ამ უკანასკნელს თავი აერიდებინა ზიანის ანაზღაურებას ან/და კუთვნილი აქციების დაკარგვას, ვინაიდან სასამართლომ 2014 წლის 18 მარტის განჩინებით დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გადწყვეტილება მიიღო. სწორედ აღნიშნულ განჩინებაში არსებული მსჯელობისა და საგამოძიებო ორგანოს წინასწარი შეხედულების საწინააღმდეგო მოქმედებას წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებების წარდგენილ შიდა ელექტრონული კომუნიკაციის დოკუმენტის გაუთვალისწინებლობა და პრიორიტეტის მინიჭება განჩინებით დაკმაყოფილებული შუამდგომლობის შედეგად კომპანიიდან 2008-2010 წლებში განხორციელებული შიდა ქსელური მიმონერების ამოღების ფაქტი, რომელიც არ ეხება კომპანიის მენეჯმენტსა და ყოფილი ბრალდებულების შიდა მიმონერას.

ორგანიზაცია შენიშნავს, რომ როდესაც საქმეში არსებობს პირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი, არ უნდა მოხდეს მისი იგნორირება, ხოლო თუკი საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ადგილი აქვს ასეთი იგნორირების მცდელობის ფაქტს, უნდა მოხდეს კვლევა და შეფასება, თუ რა წინაპირობებით და შესაძლო მოტივით შესაძლებელია იყოს განპირობებული დოკუმენტის მიმართ გამოხატული ნაკლები ინტერესი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა“. ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, „გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურ-

რად“. სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულება მით უფრო განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, როდესაც სახეზეა კომპანიის მხრიდან დასაბუთებული ვარაუდი და მტკიცება იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, საგამოძიებო ორგანო კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გასვლას იმედოვნებს, რადგანაც გამოძიებამ არ დაადგინოს ფინანსურ დანაშაულში მონაწილე დამატებითი პირები და არ გამოკვეთოს სავარაუდო დამნაშავეთა დამატებითი წრე.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის განჩინება კომპანიიდან 2008-2010 წლებში შიდა ქსელური მიმონერის ამოღების თაობაზე, სამართლებრივად ეფუძნება ყოფილ ბრალდებულებთან კომპანიის ყოფილი თანამშრომლის მიმონერას. ზ/აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მიუთითებს, რომ საგამოძიებო ორგანომ მხედველობაში მიიღო კომპანიის ყოფილი ოპერაციების მენეჯერის სამართალ-ურთიერთობის შემოწმება ყოფილ ბრალდებულებთან და დანაშაულის გარშემო, რაც გახდა კიდევ პროკურატურის მხრიდან დამატებითი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ახალი სასამართლო შუამდგომლობის საფუძველი.

სწორედ ამ ვითარების მეტი სამართლებრივი შეფასებისთვის იპყრობს დამატებით ყურადღებას სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის/შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსის, ფელიქს ჯალალონიას 2014 წლის 30 ივლისის წერილი ე. ც.-ს მიმართ. *„ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციების (მტკიცებულებების) სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, ამ ეტაპზე არ არსებობს თქვენს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი. ასევე №092110472 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო არა თქვენს მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე, არამედ სოსო ზარქუას და მანანა მიქავასთან ერთად დანაშაულის ჩადენის თანამონაწილე პირების მიმართ. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველები არ არსებობს“.*

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაციის ყურადღების საგანია, დადგინდეს ფელიქს ჯალალონიას მოქმედებებისა და წარმოდგენილი წერილის სამართლებრივი მიზანი. მონიტორინგი შენიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, წერილი გაცემის თარიღი ემთხვევა პერიოდს, როდესაც ფელიქს ჯალალონია, კომპანიაში დანაშაულის მომზადებისა და ჩადენის მომენტისთვის, იკავებდა მესტიის მუნიციპალიტეტის პროკურორის თანამდებობას. წარმოდგენილი შიდა მიმონერის დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ ფელიქს ჯალალონიას და მისი ოჯახის სხვა წევრების მიმართ, ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე, კომპანიიდან სისტემატურად გაიცემოდა სესხები. მას შემდეგ, რაც კომპანიამ საჯარო გახადა, მათ შორის 2010 წლის 4 აგვისტოს ე. ც.-ს და კომპანიის ფილიალის მენეჯერ ლ. ქ.-ს შორის სამსახურეობრივი მიმონერის შინაარსი, დოკუმენტში ე. ც. აღნიშნავს, რომ „ფელიქს ჯალალონია ჩვენი ახლობელია. ყოველ მოსვლაზე და ყოველ სესხზე ხომ არ გეტყვი თავიდან. ფელიქსი ახლობელია და აუცილებლად უნდა მიეცეს სესხი რამდენჯერაც მოითხოვს“ (სტილი დაცულია). რაც შეეხება წერილის მომზადებისა და გაცემის კომპეტენციასა და უფლებამოსილებას. 2014 წლის ივლისის მდგომარეობით, საქმეზე საგამოძიებო მოქმედებებს ახორციელებდა ფინანსური პოლიცია, რომელსაც ზედამხედველობდა პროკურორი მირანდა წერეთელი, ხოლო ფელიქს ჯალალონია წარმოადგენდა გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების უფროსს. აღნიშნულ საკითხს მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ე. ც.-ს მიმართ გაცემული წერილის ავტორი, ყველა მოქმედებით, უნდა ყოფილიყო პროკურორი მირანდა წერეთელი და წერილი საკითხზე არ უნდა მოემზადებინა ფელიქს ჯალალონიას. თუ რა მოტივით შეიძლება ეთქვა უარი მირანდა წერეთელს წერილის მომზადებაზე მისი შინაარსიდან გამომდინარე და რატომ შეიძლება განეცხადებინა თანხმობა ფელიქს ჯალალონიას, შეფასების ნაწილია. ამასთან, ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებას, რომ 2014 წლის 18 მარტის სასამართლოს განჩინების მიღების საფუძველი მირანდა წერეთლის შუამდგომლობა გახდა, რომელიც თავის მხრივ ე. ც.-სა და სოსო ზარქუას აღიარებით ჩვენებს დაეყრდნო და სასამართლომაც გაიზიარა, ხოლო სასამართლოს 2014 წლის 18 მარტის განჩინების პირობებში, სრულიად წარმოუდგენელია ფელიქს ჯალალონიას წერილის შინაარსი, როდესაც, ფაქტობრივად, მტკიცებითი ფორმით გამოიციხავს ე. ც.-ს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ფელიქს ჯალალონიას წერილი ე. ც.-ს მიმართ, იმის მიუხედავად, იცოდა თუ არა თანამდებობის პირმა 2014 წლის 18 მარტის განჩინების არსებობის შესახებ, გაცემულ იქნა კომპანიასთან სამოქალაქო დავაზე: ზიანის ანაზღაურება, აქციისა და დივიდენდის დაბრუნება, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, პროცესში, სასამართლო სხდომამდე დარჩენილ დღეებში, რითაც ე. ც.-მ შეძლო საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება.

ამასთან, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ პროკურატურის მხრიდან წინამდებარე წერილის შინაარსი იმთავითვე გამორიცხავს მხარის საპროცესო თანასწორუფლებიანობის შედეგად, საგამოძიებო ორგანოს მიმართ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას. პროკურატურის წინასწარი აზრი დანაშაულის მომზადების მომავალი სავარაუდო წრის გამორიცხვაზე, მხარეს ლეგიტიმურ უფლებას აძლევს, საგამოძიებო ორგანოს მიმართ ჰქონდეს იურიდიული პრეტენზია. მით უფრო, როცა წერილი გაცემულია პროკურორის მიერ, რომელზედაც მუდმივად გაიცემოდა ყალბი სესხი.

2011 წლის მაისში, საქმეზე ლ. მ.-ს და სხვათა მიმართ დაწყებული გამოძიებაში კომპანიის მიერ დასახელებული და საგამოძიებო ორგანოს მხრიდან გამორიცხული ასეთი პირთა წრე, ერთმნიშვნელოვნად ტოვებს კითხვებს გამოძიების გამჭვირვალობის საკითხებზე. საქმეში არსებული მტკიცებულებები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ ყოფილი ბრალდებული პირების მხრიდან სესხის გაცემა ხდებოდა პროკურატურის ორგანოს მაღალი თანამდებობის პირებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ. სამართალწარმოების პროცესში კომპანიის მიმართ წარმოებულ კორესპონდენციაში, სადაც საუბარია კომპანიის მხრიდან დასახელებული პირების სავარაუდო დანაშაულში მონაწილეობაზე და მათ მიმართ გამოძიების მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე, პროკურატურის პოზიციას გამოხატავენ სწორედ ის პირები, რომლებსაც კომპანიიდან ყოფილი ბრალდებულების მხრიდან და მათთან დაკავშირებული პირების მიერ მიღებული აქვთ სესხები. ამასთან, საგამოძიებო ორგანოს მხრიდან მრავალწლიანი გამოძიების დინამიკა და მოქმედებების ერთობლიობა საფუძვლიან კითხვებს ბადებს, დანაშაულთან დაკავშირებულ სავარაუდო წრეზე გავლენას ახდენს თუ არა ასეთ წრესთან ახლოს მდგომი ყოფილი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომელთა შესახებაც კომპანია საკუთარ მტკიცებას თავის არაერთ წერილში საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ურთიერთობის დროს გამოთქვამდა. ამდენად, ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, პროკურატურას მოეთხოვოს საქმეზე სწრაფი და ეფექტური სამართალწარმოების განხორციელება, რათა თავიდან იქნეს არიდებული შერჩევითი სისხლის სამართლებრივი გამოძიება, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს კომპანიის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

ორგანიზაცია ყურადღებას დაუთმობს კომპანიასა და ოპერაციების ყოფილ მენეჯერს შორის წარმოებულ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მიღებული გადანყვეტილებების ანალიზს ამ თვალსაზრისით, სასამართლოების მხრიდან მიღებული გადანყვეტილებების დასაბუთებულებას, როდესაც სადავო საკითხები ეხება სააქციო საზოგადოებაში პარტნიორის სამართლებრივ სტატუსსა და მხარეთა კეთილსინდისიერების კვლევას.

როგორც წესი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309¹⁷-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს უნდა დაერთოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2010 წლის 15 დეკემბერს განხორციელებულმა ცვლილებებმა განსხვავებულად მოანესრიგა სასამართლო განაჩენის სამართლებრივი დატვირთულობა დელიქტურ ვალდებულებებში. ცვლილებამდე არსებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განაჩენს პრეიუდიციულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ათავისუფლებდა მოსარჩელეს მტკიცების ტვირთისაგან. აღნიშნული კანონის 309¹⁷-ე მუხლმა ერთმანეთისაგან გამიჯნა განაჩენის მნიშვნელობა დელიქტური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ცალკეული ელემენტების მტკიცების ნაწილში. ზემოთ მოყვანილი 309¹⁷-ე მუხლის პირველი ნაწილი მოიცავს სასამართლო განაჩენის დანიშნულებას პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ხასიათს, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება. ამდენად, თუ პირის მიმართ არსებობს სასამართლოს განაჩენი, რის საფუძველზეც დაზარალებული ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, იგი იმთავითვე მოიცავს დელიქტური ვალდებულებისათვის გათვალისწინებულ ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბრალეულ ქმედებას და მოსარჩელე არ არის ვალდებული დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენით ამტკიცოს აღნიშნული გარემოება.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, პირმა უნდა აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული ზიანი. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს დელიქტური ვალდებულება წარმოადგენს. ამგვარი ვალდებულებები არასახელშეკრულებო ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ზიანის მიყენების შედეგად წარმოიშობა. სამოქალაქო კოდექსის ზემოთ მითითებული ნორმა განსაზღვრავს იმ აუცილებელ წინაპირობებს, რომლებიც უნდა არსებობდეს დელიქტური

ურთიერთობის წარმოშობისათვის, კერძოდ, უნდა არსებობდეს ზიანი, მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ ნორმაში მითითებულ კონსტრუქციას. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ადგენს პრინციპს, რომლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს სრული მოცულობით. ანაზღაურება შესაძლებელია, განხორციელდეს, როგორც ფულადი, ისე სხვა ნებისმიერი ფორმით. ამ შემთხვევაში, მთავარია, რომ დაზარალებული პირის ინტერესები სრული მოცულობით იყოს დაკმაყოფილებული. რაც შეეხება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში დადგენილ რეგულაციებს, ისინი მიმართულია კორპორაციულ ურთიერთობებში მენარმე სუბიექტების ინტერესების დასაცავად. სამენარმეო ურთიერთობების რეგულირების მეთოდიკა განპირობებულია კომპანიების ინტერესების დაცვის აუცილებლობით. შესაბამისად, მათი ინტერესები სამენარმეო ურთიერთობებში ყოველთვის პრიორიტეტულია აქციონერების თუ სხვა სტატუსით მონაწილეების ინტერესებთან შედარებით. განსახილველი დავის ფარგლებში, ცალკეული სამართლებრივი დეტალის შეფასებისას სასამართლო ყოველთვის ხელმძღვანელობს კორპორაციული ურთიერთობების ამ საბაზისო პრინციპით.

მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ კომპანიის ინტერესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შეფასდეს დასაბუთებულობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. რადგან იმის მიუხედავად, დადასტურებულია თუ არა კომპანიის რომელიმე ყოფილი თანამშრომლის ან პარტნიორის შემხებლობა ფინანსურ დანაშაულთან, დაუშვებელია, არაკეთილსინდისიერ პარტნიორს კვლავ დარჩეს საზოგადოების მიმართელობის სფეროში მოქმედების შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში პრინციპი, რომ ყველა გადანყვეტილება უნდა გამომდინარეობდეს საზოგადოების ინტერესებიდან, ვერ იქნება რეალიზებული და ამ საკითხის შეფასების გარეშე დატოვებამ, შესაძლებელია, საზოგადოების ფუნქციონირება ნეგატიურ შედეგებამდე მიიყვანოს. ამ ორი საკითხის ურთიერთმიმართებას და სამენარმეო სუბიექტის ინტერესებიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი პარტნიორის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი სახეზეა. ამასთან, კორპორაციული ურთიერთობების ერთ-ერთი სპეციფიკური საკითხია საზოგადოებისგან პარტნიორის გარიცხვა ან დივიდენდების საკითხთან მიღებული გადანყვეტილება.

ეროვნული დონის სასამართლოები მუდმივად განმარტავენ, რომ სანქციების აღნიშნული სახეები უკიდურესი ფორმაა, რადგან პირდაპირ არის დაკავშირებული საკუთრების უფლების შეზღუდვასთან. შესაბამისად, მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განპირობებულია საზოგადოების მნიშვნელოვანი ინტერესით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო 2017 წლის 13 მარტის ერთ-ერთ გადანყვეტილებაში (საქმე # ას-556-939-06) ხაზგასმით საუბრობს, რომ „როდესაც პარტნიორთა შორის დაპირისპირება საფრთხეს უქმნის კორპორაციის სამომავლო განვითარებას. ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც საზოგადოების ინტერესი პრიორიტეტულია და პარტნიორის გარიცხვა დასაშვებია“. შეფასების საგანია, ასევე ის საკითხი, თუ რომელმა პარტნიორმა უნდა დატოვოს საზოგადოება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ზემოაღნიშნული მუხლი, ზოგადი დებულების სახით არის დეკლარირებული, რაც შესაძლებლობას ანიჭებს უკვე სასამართლოს, ყოველი კონკრეტული შემთხვევა შეაფასოს მორალური ღირებულების საფუძველზე. ამასთან, საზოგადოებაში მონაწილე ნებისმიერი პირის, განსაკუთრებით დირექტორისა და პარტნიორების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ინტერესების სასიკეთოდ. პარტნიორების საქმიანობას საზოგადოებაში უნდა ახასიათებდეს ნდობა, ურთიერთშეთანხმება და საერთო ინტერესი, რაც საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანა უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების პარტნიორები უნდობლობას უცხადებენ სხვა პარტნიორს, შესაძლოა მათი ერთობლივი საქმიანობა შეუძლებელი გახდეს. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რა უდევს საფუძვლად პარტნიორის მიმართ უნდობლობას.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ კომპანიამ 2010 წელს, დანაშაულის გამოვლენის პერიოდში მოახდინა საკადრო ცვლილების განხორციელება და კომპანიის ოპერაციების მენეჯერი, რომელიც თავისი უფლებამოსილებით წარმოადგენდა კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილეს და თანამდებობრივად ეკისრებოდა ოფიცრების კონტროლი, გაცემული სესხების შემოწმება, მონიტორინგი, სესხის საკრედიტო პოლიტიკასთან შესაბამისობა, მიზნობრიობის დადგენა, მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო, დაინიშნა სტრატეგიული განვითარების მენეჯერად. კომპანიის განმარტებით, ოპერაციების მენეჯერის პოზიციიდან სტრატეგიული მენეჯერის პოზიციაზე გადაყვანა წარმოადგენდა დაქვეითებას და მაშინ კომპანიამ არ მიმართა უფრო მკაცრ ფორმებს, რადგან იმ ეტაპზე იკვეთებოდა ე.ც.-ს მხოლოდ თანამდებობრივი პასუხისმგებლობა. იქედან გამომდინარე, რომ კომპანიამ გამოავლინა მნიშვნელოვანი დანაშაული, საჭირო გახდა გადაუდებელი პრევენცია და მატერიალური სიკეთის დაც-

ვისთვის მიმართული ღონისძიებების გატარება. შესაბამისად, 2010 წლის 1 დეკემბერს, ნოტარიული წესით დამონმდა „აქციონერთა თანხმობის“ დოკუმენტი, სადაც ყველა აქციონერი უპირობოდ იღებდა ვალდებულებას, თუკი დაარღვევდა კომპანიის კორპორატიული ეთიკას, პროცედურულ და საკრედიტო პოლიტიკის ნორმებს, რაც შეიძლება გამოხატულიყო კრედიტების ან კომპანიის კუთვნილი თანხების არამიზნობრივად გაცემაში, ან მითვისებაში, მსესხებელთან უკანონო გარიგებაში შესვლით, კლიენტზე, საკრედიტო პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით მოთხოვნილი ინფორმაციის გაყალბებით, მსესხებლის ფინანსური და სხვა სახის ინფორმაციის შეგნებულად, ტენდენციურად წარმოდგენით, სხვა თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამალვით, სხვა თანამშრომლებთან ერთად კომპანიის საზიანოდ ნებისმიერ უკანონო გარიგებაში შესვლით, აცხადებდა თანხმობას, სრულად და უპირობოდ, კომპანიის სხვა აქციონერების ან/და აქციონერთა კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაეცა და ნომინალურ ფასად დაებრუნებინა საკუთრებაში არსებული აქციების წილი. აღსანიშნავია, რომ ე. ც.-მ 2010 წლის 1 დეკემბერს ხელი მოაწერა ზ/აღნიშნულ პირობებზე თანხმობას, რომელიც დამონმდა სანოტარო აქტით, თუმცა 2013 წელს, კომპანიის მენეჯმენტმა საჯარო გახადა ე. ც.-სა და სოსო ზარქუას, ასევე ე. ც.-სა და სესხის სხვა ოფიცერთა შორის 2008 წლის 26 დეკემბრის, 2009 წლის 1 ოქტომბრის, 2010 წლის 15 თებერვლის, 10 მარტის, 11 ივნისის, 3, 4 და 24 აგვისტოს სამსახურეობრივი ელექტრონული მიმონერის შინაარსი, რაც კომპანიისთვის ტოვებდა გონივრული ვარაუდის საფუძველს, რომ ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მენეჯერი ფლობდა ინფორმაციას და ასევე, დაკავშირებული იყო კომპანიაში ჩადენილ ფინანსურ დანაშაულთან. აღნიშნული დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ე.ც.-მაც, ხოლო ეს უკანასკნელი, 2013 წლის 23 სექტემბერს გათავისუფლდასტრატეგიული განვითარების მენეჯერის თანამდებობიდან.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული წინამძღვრებისა და გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოებმა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცეს ე. ც.-ს კომპანიაში დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს, თუმცა მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მხრიდან მნიშვნელოვნად იქნა დარღვეული კომპანიის, როგორც მხარის საპროცესო უფლებამოსილება.

სასამართლოები მხრიდან გაზიარებული და საქმეზე დართული არ იქნა მხარის იურიდიული ინტერესის მქონე ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 20 მარტის ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ ზ/აღნიშნული დოკუმენტი კომპანიას დაგვიანებით წარმოდგენილად ჩაუთვალა, როდესაც მტკიცებულების მომზადება საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს დასრულების შემდგომ, სააპელაციო ეტაპისთვის მოხდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, „მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს“.

აღნიშნული პრინციპი სასამართლო ეტაპზე მხარეთა თანასწორუფლებიანობის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს, რაც დეტალური კვლევის შედეგად, სასამართლომ არ უნდა შეზღუდოს, წარმოდგენილ შემთხვევაში კი, ასეთი შეზღუდვა კომპანიის სანინააღმდეგოდ სახეზეა. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეზე არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე, კიდევ უფრო მეტად საკამათოა სასამართლოს დასკვნები, როდესაც ე. ც.-ს მხრიდან თანამდებობის ბოროტად გამოყენების, კომპანიის მიმართ ჩადენილი ფინანსური დანაშაულის დამალვის, კომპანიის კორპორატიული ეთიკის, პროცედურული ნორმებისა და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების უხეში დარღვევის ფაქტების არსებობის საკითხებს ეხება. ამასთან, უაღრესად საკამათოა სასამართლოების გადაწყვეტილებები, როდესაც საქმეზე დელიქტური ვალდებულებების წარმოშობის საფუძველებს გამორიცხავს და ე. ც.-ს მიმართ პასუხისმგებლობის სოლიდარულად დაკისრების წინაპირობებს არ ცნობს. მეტიც, აღნიშნული დავის (ზიანის ანაზღაურება, აქციისა და დივიდენდის დაბრუნება, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა) განხილვის დროს, უკიდურესად მიკერძოებული და მხარე აღმოჩნდა. კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის საქმეზე: #2/ზ-1129 მიღებულ განჩინებაში (მოსამართლეები: თამარ სვანიძე, დურმიშხან ჟორჯოლიანი, სიმონ ჩხეიძე), გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ „ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ 2013 წლის 23 სექტემბრის #128 ბრძანებით, ე. ც. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძველად ბრძანების გამცემი თანამდებობის პირი მიუთითებს თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, კომპანიის მიმართ

ჩადენილი ფინანსური დანაშაულის დამალვას, კომპანიის კორპორატიული ეთიკის, პროცედურული ნორმების და კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების უხეშ დარღვევას. აღნიშნულ დავაზე წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების დროისთვის უკვე კანონიერ ძალაშია შესული გადაწყვეტილება, რომლითაც ს.ს. „ლაზიკა კაპიტალის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა“ (იხ. ზ/აღნიშნული განჩინების 4.8, 4.9 ნაწილი). სინამდვილეში, მხარეთა შორის წარმოებული კიდევ ერთი დავა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, რომელზედაც მსჯელობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, კანონიერ ძალაში არ იყო შესული. ამ დავაზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა 2015 წლის 16 აპრილს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების მიღებიდან 28-ე დღის შემდეგ. გარდა ამისა, სასამართლოს მხრიდან შერჩევითი მართლმსაჯულების განხორციელების ფაქტს წარმოადგენს დავაზე: ზიანის ანაზღაურება, აქციისა და დივიდენდის დაბრუნება, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის ფაქტი, როდესაც კომპანია აღნიშნავდა, რომ ე. ც. გეგმავდა რეგისტრირებული უძრავი ქონებების გასხვისებას მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურებაზე თავის არიდების მიზნით.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ სასამართლომ სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით, მნიშვნელოვნად შელახა ბიზნეს-კომპანიის კანონიერი უფლებები. სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა მტკიცება იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენდა საფუძვლიანი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩებოდა ან მნიშვნელოვანწილად გაძნელებოდა აღსრულება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე. როგორც წესი, ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ დარღვეულ უფლებასა თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილებულიყო იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, მხარის რეალურ მოთხოვნებს აღუსრულებელს დატოვებდა. კანონი ცალსახად მიუთითებს, რომ სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია, აღბათობის მაღალი ხარისხით, იმ გარემოებების არსებობის ვარაუდზე მითითება, რომელსაც ემყარება მხარის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადება საჭიროებდა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებას, რომელიც დაარწმუნებდა სასამართლოს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროებაში, რაც კომპანიამ წარდგენილი მოთხოვნით, დაასაბუთა კიდევ. შედეგად, კომპანიამ მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე უარი, ხოლო ე. ც.-მ ოჯახის წევრების მიმართ გადააფორმა კუთვნილი ქონება, რაც წარმოადგენს სასამართლოს უკიდურესად მიკერძოებულ და დაინტერესებულ გადაწყვეტილებას, რამაც არსებითად შელახა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა და ზარალი მიაყენა ორგანიზაციას.

რაც შეეხება კომპანიის 2014 წლის 17 მაისის აქციონერთა კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას საზოგადოების წლიური მოგების აქციონერებს შორის განაწილების შესახებ მათი წილის პროპორციულად, სადაც ასევე ერთ-ერთი აქციონერ ე. ც.-ს კუთვნილი დივიდენდი გამოიყო, როგორც გაუნაწილებელი დივიდენდი, აქციონერთა კრება, საზოგადოების წესდების თანახმად, უფლებამოსილი იყო მიეღო ზ/აღნიშნული გადაწყვეტილება.

ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც მხარეებს შორის საერთო სასამართლოების გზით მიმდინარეობდა სამოქალაქო დავები, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით არსებობდა მტკიცება იმის შესახებ, რომ დადგენილიყო დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება, სასამართლოების მხრიდან სათანადო მსჯელობა და კვლევა მხარეთა სამართალ-ურთიერობის ეტაპების თაობაზე, არ მომხდარა. ამდენად, სასამართლოების მხრიდან შეფასების მიღმა დარჩა მხარეთა კეთილსინდისიერებისა და კორპორაციული ინტერესების ფუნდამენტური საკითხები, რომლის სათანადო წესით შეუფასებლობა, დღემდე საზიანო მდგომარეობაში ამყოფებს კომპანიას და მის არაქონებრივ უფლებებს.

იგივე დასკვნების გამოტანა შესაძლებელია დღეს საგამოძიებო ორგანოს მოქმედებების მიმართ, ვინაიდან 2015 წლის 30 იანვრიდან მოცემულ დრომდე, მხარისთვის უცნობია, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს საქმეზე ან/და რატომ ვერ ხდება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნული საკითხი უკიდურესად შემაფოთებელია და ხაზს უსმევს საგამოძიების დაინტერესებას, რაც უპირველესს ყოვლისა, წარმოაჩენს ბიზნესის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების არასათანადო მოპყრობას.

5. სარეკომენდაციო წინადადებები

1. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქმეზე უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტური გამოძიება, ვინაიდან არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ვლინდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი და გამოძიების გაჭიანურებამ არ უნდა გააგრძელოს კომპანიის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების უხეში დარღვევის პროცესი;
2. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გონივრული სტანდარტის პრინციპზე დაფუძნებით, არსებული მტკიცებულებების, მონმეთა ჩვენებების, საექსპერტო დასკვნების ერთობლიობის საფუძველზე, ს.ს. „ლაზიკა კაპიტალი“ ცნოს დაზარალებულ სუბიექტად;
3. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ბიზნესს-ინტერესების განხორციელებას და დაცვას. გაკეთდეს მკაფიო აღნიშვნები ბიზნესის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების მიუკერძოებლად ჩატარების თაობაზე;
4. მნიშვნელოვანია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განახორციელოს საქმეზე საზედამხედველო უფლებამოსილება შეაფასოს საქმის წარმოების პროცესის კანონიერება და მისი შესაბამისობა სამართლიანობის და კანონიერების პრინციპებთან.



ახალგაზრდა ადვოკატები YOUNG BARRISTERS

მისამართი: თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა #12
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ-გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას და დაფუძნების დღიდან ერთ-ერთი აქტიური პოზიციის მქონე ორგანიზაციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2012 წლიდან წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის წევრ ორგანიზაციას. 2012 წლიდან არის არასამთავრობოთა ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“ თანადამფუძნებელი და წევრი. 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის საქართველოს ალიანსის“ წევრ ორგანიზაციას. 2014 წელს გახდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის წევრი. 2014 წელს განვერიანდა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში, ხოლო 2014 წლის 22 დეკემბრიდან, საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ორგანიზაციის ხელმძღვანელი. „ახალგაზრდა ადვოკატები“, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ გადამწყვეტილებით, დასახელდა „2014 წლის ყველაზე აქტიურ უფლებადაცვით ორგანიზაციად“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ 2015 წლიდან ჩაერთო ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან ორგანიზაცია მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. ამასთან, 2015 წლის თებერვალში, ორგანიზაცია აღმოჩნდა ერთ-ერთი წარმდგენი და მხარდამჭერი, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის კანდიდატურა შესთავაზა. 2015 წლის აპრილიდან, ორგანიზაცია ჩაერთო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში. 2015 წლის 30 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით, დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წლის დეკემბრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გახდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ თანამშრომლობს პროფესიულ ჯგუფებთან, საჯარო დაწესებულებებთან, კერძო სექტორთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან. ორგანიზაცია მიმართულია კვლევით საქმიანობაზე, ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, ამზადებს დასკვნებს, რეკომენდაციებს, საკანონმდებლო წინადადებებს, ჩართულია ახალგაზრდული

პოლიტიკის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სამართლებრივი რეფორმების შეფასებაში. ამ მიმართულებით, ორგანიზაცია 2013 წლიდან ახორციელებს ინიციატივას: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. ორგანიზაცია ახორციელებს უფასო იურიდიული კონსულტაციის პროგრამას. გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალს და ამზადებს ყოველთვიური საქმიანობის მედია-დაიჯესტს.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი მას შემდეგ, რაც „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პრინციპული პოზიცია დაასაბუთეს 2003-2012 წლებში, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის, სისტემური დანაშაულებისა და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების კანონშეუსაბამო მოქმედებების თაობაზე. ორგანიზაციის მკვეთრი პოზიცია, ცალკეული ფგუფების მხრიდან აღქმულია, როგორც მიკერძოებული დამოკიდებულება. შესაბამისად, ორგანიზაციის ბიოგრაფიის ნაწილია ცალკეული სასამართლო დავებიც, რომელიც მიზნად „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქმიანი რეპუტაციის დაცვას და ცილისწამებით მიყენებული ზიანის აღდგენას გულისხმობს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მოქმედებს წესდების, შინაგანანესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად ახლდება. 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“, კაბინეტურ მმართველობაზე გადავიდა. ორგანიზაციის ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, უხელმძღვანელებს ორი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემონირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

*„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი
წარმოდგენილი კვლევის შესახებ.*

*თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის
ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას
დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com*